# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 2012 წელი.

№174 (7050)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# უზნეობის აპოთეოზი,

## ანუ „მეტი სარგებელი ხალხს“

3-4



## ივანე კილურაძე:

# ამათი დარჩენა ხელისუფლებაში ჩემს სიკვდილზე უარესია

5



# „ამხანაგი შაშკინ-ლამანჩელი!“

6

# გადადებული აპოკალიფსი



8

# ვიდრე...

7

ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი უსინდისობა, ისეთი უკანონობა, ისეთი აშკარა ძალადობა ხდება საქართველოში, ისეთ სიგიჟეებს სჩადის ხელისუფლება, რაც ჯანმრთელი გონებისათვის სრულიად წარმოუდგენელია და არც ანალოგი მოეძებნება აწმყოსა თუ წარსულში...



## ტელმან იჭირაული:

# ვცხოვრობთ მზესთან და ღმერთთან ახლოს...

9

ვინ-ვის?

# მოსახლეობის გამოკითხვა თბილისში

**„თავისუფალი საქართველოს“ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობების გამოკვლევის მიზნით თბილისში მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატარა.**

როგორც პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლადო ბულბულაშვილმა განაცხადა, გამოკითხვა ჩატარდა პირდაპირი ინტერვიუს პრინციპით, თბილისის მასშტაბით ყველა საარჩევნო ოლქში. სულ გამოიკითხა 720 რესპონდენტი.



როგორც ბულბულაშვილმა აღნიშნა, **კითხვაზე — უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას — გამოკითხულთა 53,5% ამბობს რომ მხარს უჭერს, 32,5% — წინააღმდეგია, ხოლო 14%-ს პოზიცია არ აქვს;**

**გამოკითხულთა 32,9% მიიჩნევს, რომ ოპოზიციას მაჟორიტარულ ოლქებში ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს. 32%, — წინააღმდეგია, 16% აცხადებს, რომ ყველა პარტიამ უნდა მოხსნას თავისი კანდიდატი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, ხოლო 18,1 %-ს პასუხი არ აქვს;**

კითხვაზე იმ შემთხვევაში თუ საპარლამენტო არჩევნებში ჯამში ხმათა 30-40% მიიღო, რა უნდა მოიმოქმედოს ოპოზიციამ? — **გამოკითხულთა უმრავლესობა (43,6%) ამბობს, რომ უნდა დაიწყოს რადიკალური პროტესტი, 29,2% მიიჩნევს, რომ უნდა შევიდეს პარლამენტში, ხოლო 27,2%-ს პასუხი არ აქვს;**

რაც შეეხება პარტიათა რეიტინგს, ლადო ბულბულაშვილის ინფორმაციით, **პირველ ადგილზე 36,2%-ით „ქართული ოცნებაა“, 25% — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 22,6% — „თავისუფალი საქართველო“, „ქდმ“ — 7,9%, „ლეიბორისტული პარტია“-4,3%, „ახალი მემარჯვენეები“ —1,3%“, დანარჩენი პარტიები — 2,7%;**

რაც შეეხება მაჟორიტარებს, ბულბულაშვილის ცნობით, **მთაწმინდის საარჩევნო ოლქში 50,7%-ით „ქართული ოცნების“ კანდიდატი ზაზა პაპუაშვილი ლიდერობს;** **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ არჩილ გეგენავას კი — 33,3% აქვს;**

**ვაკის საარჩევნო ოლქში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გიორგი კარბელაშვილი 39,1%-ით ლიდერობს, ხოლო „ქართული ოცნების“ კანდიდატ შალვა შავგულიძეს 31,9% აქვს;**

**საბურთალოს საარჩევნო ოლქი: ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით უსუფაშვილი — 32,4% „ნაციონალური მოძრაობიდან“ ანდრია ურუშაძე-22,1%;**

**კრწანისის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატი შოთა ხაბარელი 44%-ით ლიდერობს, მეორე პოზიციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი დავით საყვარელიძე-36%;**

**ისნის საარჩევნო ოლქი: „თავისუფალი საქართველოს„ კანდიდატი გელა კეტაშვილი 43,1%, ქართული ოცნების„ კანდიდატი ალექსანდრე ქანთარია-20,85%;**

**სამგორის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატი ზურაბ აბაშიძე 51,4%-ით ლიდერობს, მეორე ადგილზეა „თავისუფალი საქართველოს“ კანდიდატი ალექსანდრე შალამბერიძე 27,1%-ით;**

**ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში ლიდერობს „ქართული ოცნების„ კანდიდატი ვიქტორ დოლიძე 35,7%-ით, ხოლო მეორე პოზიციაზეა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ანდრო ალავიძე-28,6%-თ;**

**დიდუბის საარჩევნო ოლქი: ლიდერობს „ქართული ოცნების“ კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე 48,8%-ით, მეორე ადგილზეა „თავისუფალი საქართველოს“ კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე-21,3%;**

**ნაძალადევის საარჩევნო ოლქი — ლიდერია „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი მერაბ სამადაშვილი, 36,8%, „ქართული ოცნების“ კანდიდატი თეა წულუკიანი კი მეორე პოზიციაზეა 28,9%-ით;**

**გლდანის საარჩევნო ოლქი — სოსო ჯაჭვლიანი-39,2%, ხოლო მეორე ადგილზეა „თავისუფალი საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მიმი გაბრიჩიძე-25,7%-ით.**

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურმა მდივანმა თენგიზ ომანაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა საშუალება ჩართული ყოფილიყო გამოკითხვის პროცესში.

— ჩვენ ერთობლივი სოციოლოგიური კვლევის ჩატარების ინიციატივით ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოვედით. მიუხედავად ამისა, არც ერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან ამ ინიციატივას გამოხმაურება არ მოჰყოლია, — განაცხადა ომანაძემ.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, კვლევას ყველა ეტაპზე მონიტორინგს „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრი“ უწევდა, რომლის თავმჯდომარეა კახა კახიაშვილი.

რთველი — 2012

# ცნობები ყურძნისა და მისი პატრონის ამოსაცნობად

**თბილისის მერიამ დედაქალაქში ყურძნის გასაყიდად სპეციალური ადგილები გამოყო. კახელ გლეხებს შესაძლებლობა ეძლევათ, უფასოდ ჩაიტანონ ყურძენი თბილისში და საკუთარი პროდუქცია საკვირაო ბაზრებში და ასევე სპეციალურად გამოყოფილ სხვა ადგილებში გაყიდონ. თუმცა, კახელებს ის ურჩევნიათ, საკუთარი მოსავალი ქარხნებს დროულად ჩააბარონ, მაგრამ აქ პრობლემები იკვეთება. კახეთში ღვინის ქარხნები სპეციალური ცნობების გარეშე ყურძენს არ იბარებენ.**

„დედაქალაქი ყველა რესურსს გამოიყენებს, რათა გვერდში დაუდგეს კახეთს და სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს?, — აღნიშნავენ თბილისის მერიაში. სასურსათო პროდუქტების დაბალ ფასში შეძენისა და თბილისელების შემოსავლების დაზოგვის მიზნით, თბილისის მერიის ინიციატივით, 2011 წლიდან, ყოველ კვირა დღეს ქალაქის ყველა უბანში იაფი სავაჭრო ობიექტები ეწყობა.



მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, დილის 9-დან 17 საათამდე პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ. ამ ეტაპზე თბილისის მასშტაბით სულ 16 სავაჭრო ობიექტი მუშაობს.

სანამ დედაქალაქი კახელებს დახმარების ხელს გაუწვდის და შესაფერის ადგილებს გამოუყოფს პროდუქციის სარეალიზაციოდ, ამასობაში რეგიონში რთველი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ამის კვალდაკვალ ჩნდება ახალი პრობლემები, რომელიც გლეხებს ყურძნის დროულად დაბინავებაში ელობება. მაგალითად, ის, რომ კახეთში ღვინის ქარხნები სპეციალური ცნობების გარეშე ყურძენს არ იბარებენ.

რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის პაატა ჭავჭანიძის განცხადებით, სოფლის ტერიტორიული ორგანოებიდან გაცემული ცნობები მნიშვნელოვანია, რადგან ეს რთველის წარმოებისა და ორგანიზების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მისივე თქმით, ცნობა შტაბს ეხმარება კოორდინაციასა და ქარხნებში ყურძნის გადანაწილებაში. ხოლო, გლეხს, რომელსაც ამ დრომდე ცნობა არ აქვს აღებული, აუცილებლად უნდა მიმართოს სოფლის რწმუნებულს, რათა მისი შესაბამისი გადამისამართება დროულად მოხდეს.

„ცნობების გაცემა ახლა არ დაწყებულა, უკვე რამდენი წელია გაიცემა. ამ ცნობით, გლეხის გადამისამართება ხდება თუ რომელ ქარხანაში უნდა ჩააბაროს ყურძენი და არ შეექმნას მას რამე სახის პრობლემა.

გარდა ამისა, ამ ცნობით რეგულირდება რეესტრი თუ რამდენი ყურძენი მოიკრიფა კონკრეტულ სოფელში და სად ჩაბარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ცნობა გვაძლევს საშუალებას ყურძნის ჩაბარებისას შევინარჩუნოთ წესრიგი და თავიდან ავიცილოთ რიგები და ქაოსურობა.

მაგალითად, მთელმა სოფელმა ყურძენი ერთდროულად რომ დაკრიფოს და ჩასაბარებლად წაიღოს, ეს ქარხნებთან მიმართებაში ცუდ ტენდენციას გამოიწვევს და, შესაძლოა, გლეხმა ყურძნის ჩაბარება ვერც მოახერხოს. ამდენად, ცნობა რეგულაციის, ყურძნის რაოდენობის დათვლის და რთველის დინამიკის კონტროლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა“, — ამბობს ჭავჭანიძე.

სოფლის მეურნეობის ექსპერტთათვის კი უცნობია, ცნობის აღების აუცილებლობა რა მიზეზითაა განპირობებული. თამაზ კუნჭულიას თქმით, პროცესის გაიოლების თვალსაზრისით, სრულიად საკმარისი იყო ცნობა ჩამბარებელ ქარხანას გაეცა.

„არ ვიცი რა მიზანს ემსახურება ყურძნის ჩაბარებისთვის აუცილებელი ცნობის გაცემა. თუ მხოლოდ კოორდინაციისა და ყურძნის რაოდენობის აღრიცხვისთვისაა საჭირო, მაშინ ეს შეიძლებოდა ღვინის ქარხანაში აღრიცხულიყო და საკმარისი იქნებოდა. გარდა ამისა, ცნობა ვერ იქნება იმის საშუალება, რომ გლეხმა თავისუფალ ბაზარზე არ გაყიდოს საკუთარი პროდუქცია.

ამასთან, ცნობების დარიგება, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმითაც, რომ გლეხი, რომელიც ცნობას აიღებს და სახელმწიფოსგან სუბსიდიას მიიღებს, საპარლამენტო არჩევნებზე მან მხარი აუცილებლად მმართველ გუნდს უნდა დაუჭიროს. ალბათ, ცნობების დარიგებით ამასაც უსვამენ ხაზს. სხვა მიზეზს ამ პროცესში მე ვერ ვხედავ“, — განმარტავს თამაზ კუნჭულია.

**ეკა ბაქრაძე**
For.ge

ინფორმაცია

## „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციამ“ თსუ-სთან საპროტესტო აქცია გამართა

**სტუდენტები უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას აპროტესტებდნენ. როგორც „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა, აქციის მონაწილეები მოითხოვენ, რომ შეწყდეს პროფესორ-მასწავლებელთა უკანონო განთავისუფლება.**

— უმაღლესი სასწავლებლები პოლიტიზირებულია.



მივმართავ ადგილობრივ სტუდენტთა თვითმმართველობას, რომ დაინტერესდნენ ამ ფაქტით და დააფიქსირონ აზრი ამ მოვლენებზე. მოვუწოდებ ლექტორებსა და სტუდენტებს, რომ ერთად დავდგეთ და გავაპროტესტოთ და შესაძლოა, ჩვენ რაიმე შედეგს მივაღწიოთ, — განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

მისივე თქმით, აქციები კვლავ გაგრძელდება და იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლების სამსახურში აღდგენა, ათასობით სტუდენტს გამოიყვანენ აქციაზე.

## წვრთნები ნატოს ეგიდით გაიმართება

**არსებული ინფორმაციით, 22-28 სექტემბერს, საქართველოში ნატოს ეგიდით, სტიქიური უბედურების ლიკვიდაციის შედეგების მიზნით საერთაშორისო წვრთნები „საქართველო 2012“ გაიმართება.**

სწავლებაში 30 ქვეყნის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული 11 ბრიგადა მიიღებს მონაწილეობას. სწავლების მიზანია, შემუშავდეს პრაქტიკული მოქმედებები სტიქიური უბედურების ლიკვიდაციის შესახებ და ასეთი შემთხვევების დროს ქვეყნებს შორის კოორდინაციის გაღრმავება.

ვრცელდება ინფორმაცია სწავლების სცენარის შესახებაც, რომლის მიხედვით, 20 სექტემბერს, 14:20 საათზე, თბილისიდან სამხრეთით, 35 კილომეტრში 6,8-ბალიანი მიწისძვრა მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიწისძვრას თბილისში ძლიერი ნგრევა არ გამოუწვევია, ეპიცენტრთან ახლოს მდებარე ქალაქ რუსთავში 100 ათასამდე ადამიანს საფრთხე ემუქრება ქალაქში მდებარე ქიმიური ქარხანა-ფაბრიკების, ასევე იმის გამო, რომ მის სიახლოვეს არის ნავთობსადენები, რკინიგზები და ავტომაგისტრალები.

წინასწარი შეფასებების შემდეგ, მიიღება გადაწყვეტილება, რომ სამძებრო-სამაშველო სამუშაოებისთვის საქართველოს შესაბამისი სამსახურების ძალები არასაკმარისია და აუცილებელია დახმარების სხვა ქვეყნებისთვის თხოვნა.

სცენარის მიხედვით, ალიანსის წევრი ქვეყნების და პარტნიორების მაშველები მონაწილეობას მიიღებენ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში, ასევე, იმ ადამიანების გადარჩენაში, რომლებიც ნანგრევების ქვეშ არიან მოყოლილები. ამასთან, ჩატარდება სამუშაოები, რომლებიც ტოქსიკური ნივთიერებების გაჟონვის გაუვნებელყოფას გულისხმობს.

## აფხაზი მუჰაჯირები სამშობლოში დაბრუნდნენ

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ სირიიდან ჩასული 13 ოჯახი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყო.**

„აპსნი პრესის“ ინფორმაციით, ალექსანდრე ანქვაბი რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ აძლეიბას შეხვდა და სირიიდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული თანამემამულეების მდგომარეობით დაინტერესდა.

აძლეიბამ ალექსანდრე ანქვაბს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 13 ოჯახი საცხოვრებელი სახლებით უკვე უზრუნველყოფილია, მათ ბინები დრანდას დასახლებაში გამოეყოთ.

კიდევ ოთხი ოჯახი, რომლებიც ამჟამად სასტუმრო „აიტარ“-ში ცხოვრობს, ბინებით უახლოეს მომავალში დაკმაყოფილდება.

აძლეიბას ინფორმაციითვე, კიდევ ერთ ოჯახს გუდაუთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში სახლი აჩუქეს.

**ინტერპრესნიუსი**

# უზნეობის აღლუმი, ანუ „მეტი სარგებელი ხალხს“



**მყავდა არაჩვეულებრივი უფროსი მეგობარი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრა ზირაქაძე. ხშირად მეუბნებოდა: „წესიერ ხალხს გაერთიანება და პროტესტის გამოხატვა რცხვენია, ხოლო უზნეო და უსინდისო ადამიანები უპრობლემოდ ერთიანდებიანო“.**

ჩვენი მოსახლეობის ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სოციალური პრობლემები თავისთავად მოგვარდება და ზოგიერთი ქართველისთვის ჩვეული არხეინობით, კვლავაც პასიურად (ხშირად იუმორითაც კი) ადევნებს თვალს მიმდინარე მოვლენებს. ასეთ ადამიანებს მინდა შევახსენო ერთი „წვერიანი“ ანეკდოტი:

დაღმართზე ავტობუსი მიგორავს, უკან კაცი მისდევს და ყვირის „გააჩერეთ, გააჩერეთო!“ მგზავრები სიცილით კვდებიან და მძღოლს უყვირიან „არ გააჩერო, არ გააჩეროო!“ ბოლოს მდევარი ხელს ჩაიქნევს, გაჩერდება და ხვნეშით ამბობს: „თქვენ იკითხეთ, თორემ ავტობუსის მძღოლი მე ვარო...“

ისე, ამ ანეკდოტში აქცენტი მგზავრების სიბრიყვესა და უზნეობაზეა გამახვილებული. მძღოლის ფსიქიკური მოშლილობა ან უზნეობა არ ჩანს. პირიქით, მოიკლა კაცმა სირბილით თავი, მაგრამ ამდენ ბრიყვთან ვერაფერი გააწყო. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ავტობუსის მძღოლი ჩვენი უმაღლესი ხელისუფალია... ჩაჯდებოდით საერთოდ ამ ავტობუსში? არადა, ზიხართ ბატონებო, ზიხართ!!

ნორმალურ სახელმწიფოში წარმოუდგენელია, რომ მოქალაქე მართვის მოწმობის ასაღებად სამედიცინო კომისიის დასკვნის, ე.წ. „ფსიქოს“ გარეშე, დაუშვან გამოცდაზე. ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეებთან კი ხშირად ხვდებიან ადამიანები, რომელთაც ჯანმრთელობის, მათ შორის სულიერი სფეროს, სერიოზული დარღვევები აქვთ. ექსტრემალურ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ხშირად ჯანმრთელ ადამიანსაც კი სტრესულ მდგომარეობაში აგდებს. ყველა ქვეყანაში ასეთ პირებს ფსიქოლოგის და ზოგჯერ ფსიქიატრის დახმარებაც კი სჭირდებათ. მეტიც, მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებას ირჩევს, რომელიც მათი ფულით, ანუ გადასახადებიდან შემოსული სახსრებიდან იღებს ხელფასს, სრულად უნდა იყოს ინფორმირებული ასარჩევი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ზნეობრივი სახის შესახებ.

ამის მაგალითად გავიხსენებ სენატორ ბობ დოულის საპრეზიდენტო კამპანიის პერიპეტიებს. პრესა და ტელეეთერი აჭრელებული იყო კითხვებით, არის თუ არა ჯანმრთელი დოული იმდენად, რომ მან ამერიკის პრეზიდენტობა შეძლოს. იმხანად რესპუბლიკელი დოული დემოკრატ ბილ კლინტონის კონკურენტი გახლდათ და ახალგამოსული იყო საავადმყოფოდან, სადაც პროსტატის კიბოს გამო რადიკალური ოპერაცია ჩაუტარდა. მე მოწმე გახლავართ იმ დისკუსიებისა, რომლებშიც ცნობილი ექიმებიც მონაწილეობდნენ და დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ იმჟამად დოული ჯანმრთელი, განკურნებული გახლდათ და პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში სრული დატვირთვით შეეძლო ქვეყნის გაძღოლა.

არის მეორე, არანაკლებ საინტერესო მაგალითი ამერიკის უახლესი ისტორიიდან, რაც კენედების ოჯახს უკავშირდება. ცნობილია, რომ ოჯახური კლანის ხელმძღვანელმა ჯოზეფ კენედიმ დაგეგმა, რომ მისი ყველა ვაჟიშვილი რიგრიგობით გახდებოდა ამერიკის პრეზიდენტი. პრეზიდენტი ჯონ კენედი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე დაქირავებული მკვლელის ხელით დაიღუპა, ისევე როგორც შემდგომში მისი ძმაც, რობერტი, რომელიც უფროსი ძმის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ საპრეზიდენტო მარათონში იყო ჩაბმული. მათი უმცროსი ძმა ტედი კი, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრება განვლო, მხოლოდ სენატორობას დასჯერდა მასაჩუსეტსის შტატიდან. იგი ვერასდროს გახდა აშშ პრეზიდენტობის კანდიდატიც კი, რადგან მთელი ცხოვრება გამოჰყვა იმ სამარცხვინო და საჩოთირო (ამერიკელი ამომრჩევლების აზრით!ძ საქციელის დამღა, როცა ახალგაზრდობაში მომხდარი ავტოავარიის დროს (მანქანა ხიდიდან გადავარდაძ, მის გვერდით მჯდომი მდივანი ქალის დაღუპვის ამბავი დამალა.

**თუკი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისა და მეგობარი ქვეყნისათვის განმსაზღვრელია ასარჩევი ხელისუფლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ზნეობრივი სახე, ჩვენთვის რატომ არ არის ეს მნიშვნელოვანი?**

რა საოცარი ერთიანობა გამოავლინეს, როცა ევროპელმა პარლამენტარებმა **„ცოტა ლენინიზმზე“** მიუთითეს. არადა სწორედ ლენინმა, სვერდლოვმა და ტროცკიმ ჩაუყარეს საფუძველი სისხლიან რეპრესიებს, მიუღებელი ოპონენტების ფიზიკური განადგურების მასობრივ სისტემას, კორუფციას, მათ შორის ელიტარულს, „ახალი ადამიანის შექმნას“. ჯერ კიდევ 1946 წელს ამ საშინელ ტოტალიტარულ სისტემას ჯორჯ ორუელმა **„ანიმალიზმი“** უწოდა თავის გენიალურ ნაწარმოებში **„ცხოველთა ფერმა“**. სხვათა შორის, საბჭოთა საბაჟოზე თქვენს ბარგში ამ წიგნის, პასტერნაკის „დოქტორ ჟივაგოსა“ და ჯეიმს ბონდზე ფლემინგის წიგნების აღმოჩენის შემთხვევაში სერიოზული პრობლემები შეგექმნებოდათ.

მე მჯერა, რომ მარქსიზმისა და კომუნიზმის კლასიკოსების ათეულობით ტომის წამკითხველები, მით უფრო შინაარსის გამგებნი ესენი არ არიან. ეს ნათლად გამოჩნდა მმართველი გუნდის „სახეების“ ორი განსხვავებული, ერთმანეთთან შეუთანხმებელი კომენტარის გაჟღერებისას, როცა ჯერ ნაცმოძრაობის გამოუცდელმა ქალბატონმა სპიკერმა აშკარად „იჩქარა“, როცა ევროპარლამენტარებს „ქართული ოცნების“ ლენინიზმში მხილება მოუწონა. რას იზამ, ვერ მიხვდა ვის გულისხმობდნენ მაღალი ევროპელი სტუმრები. თან რას წარმოიდგენდა, რომ იგივე საკითხზე კულტურის მინისტრი ევროპარლამენტარების გამოსვლას „სისულელედ“ მონათლავდა. თუმცა მას მალევე, საგანგებოდ ბოდიშის მოხდაც მოუწია, რაც სტუმრების გამოსვლის სრული ტექსტის არცოდნით ახსნა. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალებს რაღაც-რაღაცებში განათლება უდაოდ აკლიათ. ამ თვალსაზრისით ვვარაუდობ, რომ სწორედაც „ცხოველთა ფერმის“, ამ შედარებით მოკრძალებული მოცულობის წიგნის (სულ 128 გვერდია „ნაცების მშობლიურ“ ინგლისურ ენაზეძ სამჯერ გადაკითხვის შემდეგ (ვშიშობ ერთხელ და ორჯერ მათთვის საკმარისი ვერ იქნება შინაარსის სრულად გასაცნობიერებლადძ, წარმოდგენა მაინც შეექნებათ იმ სისტემაზე, რომლის მახინჯი კარიკატურის შექმნაზე ასე აშკარად მიუთითეს მაღალმა სტუმრებმა.

დღესაც სიამოვნებით ვუყურებ არაჩვეულებრივ ფილმს „ქალის სურნელი“, რომელშიც ალ პაჩინომ გენიალურად ითამაშა ბრმა პოლკოვნიკის როლი, სადაც ბერდის პრესტიჟულ სკოლაში მისი ემოციური გამოსვლა დასმენის, ჩაშვების დაუშვებლობის შესახებ ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი აღზრდის სანიმუშო მაგალითია. სამწუხაროა, რომ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობაში ინერგება სწორედაც დასმენის, დაბეზღების, ჩაშვების, მოსმენის ინსტიტუტები, რაც რყვნის თაობებს. ამას ახორციელებენ „ჩავლით განათლებული“ და „ნახევარფაბრიკატული“ ცოდნით თავიანთი ქცევებისა და ქმედებების მართებულობაში უზომოდ თავდაჯერებული და დაბოლმილი „ატლანტიკადალეულები“. საერთოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ხალხს ბავშვობა არ ჰქონია, და ისინი თანატოლების ცხოვრებას დაგმანული ფანჯრიდან შურით ადევნებდნენ თვალს. ახლა კი, როცა ქვეყნის მართვის სადავეებთან მოექცნენ, მიეცათ საშუალება ბავშვობაში ვერნათამაშები „კაზაკი-რაზბოინიკი“, „დაჭერობანა“, „სახლობანა“, „ომობანა“, „ექიმობანა“, „სკოლობანა“ რეალურ ცხოვრებაში განეხორციელებინათ. ამათ ახალი თამაში „მთავრობანაც“ დაამატეს. სამწუხაროდ, ვერ გაიცნობიერეს, რომ ამგვარ აკვიატებულ ქმედებებს სავალალო შედეგები მოსდევს. შედეგი კი დემოგრაფიული კატასტროფაა, დაკარგული და ოკუპირებული ტერიტორიები, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი საქართველოს მოსახლეობა და მრავალი სხვა.

რა მნიშვნელობა აქვს, სად ურჩევ ახალგაზრდებს უზნეო საქციელის ჩადენას — ცათამბჯენი უნივერსიტეტის 35 სართულზე დამონტაჟებულ „ეშმაკის ბორბალზე“ თუ „ხეებში და ბუჩქებში“. ამიტომაც ძნიან ამ ეგრეთ წოდებულ „პატრიოტთა“ ბანაკებს (პიონერების, ბოისკაუტების, ჰიტლერიუგენდის, ხუნვეიბინების და ა.შ. ნაზავსძ. სწორედაც აქ ხდება „ახალი ადამიანის“, ახალი პავლიკ მოროზოვების ფორმირება, რომელთა მორალი ეფუძნება კალე ფეოდოსიშვილის სტრიქონებს: „მე მოვკლავ დედას და მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას“. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც კიდევ ახსოვს კომუნისტური რეჟიმის დაბეზღებების სისტემისგან მილიონობით რეპრესირებული და ამის შედეგად გაუბედურებული ოჯახები.

ბიძინა ივანიშვილს იმიტომ უნდა დავუჭიროთ მხარი, რომ უდავოდ მშრომელი კაცია. იგი ღარიბ, მაგრამ მშრომელ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. შრომის და სიკეთის ფასი იცის, იმის მიუხედავად, რომ ბევრი რამ აკლდა, არ გაბოროტდა. განსაკუთრებით სულისშემძვრელი იყო მისი ნაამბობი, რომ თბილისში ჩამოსული უმაღლესში ჩასაბარებლად ემზადებოდა, თან ქარხანაში მუშად მუშაობდა და ... ტუალეტსაც ალაგებდა. დღესაც ეძებს იმ ქურთის კაცს (ან მის შთამომავლებსძ, ვინც სახელმძღვანელოებზე ჩამოძინებულს დალაგებაში ეხიდებოდა. იცით, რატომ არ მოერიდა ამის გამხელა? იმიტომ, რომ არანაირი შრომა არ არის სათაკილო, **იმიტომ, რომ მხოლოდ თავდაუზოგავი შრომა აყალიბებს ადამიანს და ... არ აბოროტებს.** ამას ბევრი, ძალიან ბევრი ვერ კი არა, არ დაწერდა, არ გაამხელდა. მერე მილიარდერი გახდა. პირველი დიდი ფული რომ იშოვნა, ვინც კი ოდესმე დახმარებია, დაუნანებლად და დაუყვედრებლად იმას დაეხმარა. იმასაც შეეჯახა, რომ ვისაც ჩააცვა, იმან გახადა, უღალატა. ამანაც არ გააბოროტა. „ჭორვილელიაო“, ამბობენ, „ნაღდი“ ქალაქელები. ავიწყდებათ, რომ თბილისელი ხოხობიც არ არის, ბეღურაა მხოლოდ.

წლობით უჩუმრად აკეთებდა საქვეყნო საქმეს, ეწეოდა ქველმოქმედებას, აშენებდა ამ ქვეყანას, აფინანსებდა მართლწესრიგის სისტემის ჩამოყალიბებას და თავდაცვისუნარიანობას, უხდიდა ხელფასებს ხელისუფლების ყველა შტოს. რესპუბლიკური საავადმყოფოს აღორძინებასაც აპირებდა (ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალური საავადმყოფოების აშენებასაც გეგმავდაძ, **ოღონდაც ერთი პირობით, რომ იქ მკურნალობა პაციენტებისათვის ისეთივე უფასო უნდა ყოფილიყო, როგორც საჩხერეშია.** ეს რომ გაიგეს იმათ, **ვისაც დღეს ხალხისთვის მეტი სარგებელი უნდა,** პროექტი ჩაუგდეს და ტენდერი ჩაშალეს. ბოლოს მობეზრდა ამ უზნეო, უვიცი და არაპროფესიონალი ხელისუფლების მიერ მისი ფულებით აღმადლამა პარპაში და აუტკივარი თავი აიტკივა. „რუსული პროექტიაო“, შესძახა მიშამ და აჰყვნენ მას აკუ, გაკუ, ბოცო, ჩიორა და მრავალნი „ექსპერტნი“. ექსპერტობა თუ პროფესია იყო, ამათგან გავიგე. დაავიწყდათ, **მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ივანოვის ჩამოფრენა თბილისში 2003 წლის 22 ნოემბრის გარიჟრაჟზე.** პირდაპირ „აჯანყებულებთან“ (შემდგომში „ხავერდოვან ვარდოსნებთან“ძ მივიდა მინისტრი, იძახა დამტვრეული ქართულით: „გაუმარჯოს საკართველოს“ და „მათი მოთხოვნებით“ ხელდამშვენებული ესტუმრა შევარდნაძეს, საქართველოს პრეზიდენტს. შემდგომ რწყილივით რამდენიმე რეისი გააკეთა კრწანისსა და პარლამენტს შორის (ყველას გახსოვთ ის კადრები, თუ როგორ ჯიკავჯიკავით იკვლევდა ბრბოში გზას დიდი რუსეთის ძლევამოსილი მინისტრი, როცა ტრიუმვირატთან შევარდნაძის პასუხი მიჰქონდ-მოჰქონდაძ. ბოლოს მხარეები ერთმანეთთან მოსალაპარაკებელ მაგიდასთან დასვა და გულარხეინად გააგრძელა გზა ასლან აბაშიძისკენ ბაბუსთან.

გზაში დააწიეს ყველასთვის, თუმცა არა შევარდნაძისთვის, მოულოდნელი დასასრული (გახსოვთ ყველას რჩეულიშვილის გახეთქილი თავის ფონზე სააკაშვილისა და ჟვანიას შეშლილ-გაქვავებული სახეები და წინა დღეების რიტორიკის აბსოლუტურად საწინააღმდეგო გამონათქვამები, **„ბატონი ედუარდის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის და აზროვნების შესახებ“)**. ამბობენ ამ ამბავმა ივანოვი გააცოფა და ამოუღერლია: ახლაც მოგვატყუა ამ თეთრმა მელამო.

მერე იყო სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი პრეზიდენტის რანგში რუსეთში, სადაც **პუტინს** მისი აპარტამენტების დათვალიერებისას მუდმივად მზადმყოფი პიონერივით თვალებში შესციცინებდა. მალევე იყო დავოსის ეკონომიკური ფორუმი, როცა **ჯორჯ სოროსმა** საქვეყნოდ განაცხადა, რომ საქართველოში „ხავერდოვანი რევოლუცია“ თურმე მან დააფინანსა, თან სულ მხარზე ხელი უტყაპუნა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც დასჯილი მოწაფესავით გვერდზე ედგა... შემდეგ კვლავ **ივანოვი** ჩამოფრინდა ბათუმში უკვე ასლან აბაშიძის წასაყვანად. ამის შემდეგ დაიწყო ეკონომიკურად საქართველოს მიბმა რუსეთზე, რისთვისაც რუსეთის მოქალაქე **ბენდუქიძე** გამოიგზავნა და ქვეყნის მთელი ეკონომიკა მას ჩაბარდა. ყველას გვახსოვს თბილისის აეროპორტში პირველივე ინტერვიუში მისი ლაკონური, მაგრამ ტევადი და ფრთოსანი ფრაზა: **„ყველაფერი გაიყიდება სინდისის გარდა“.** მართალიც იყო, სინდისი დიდი ხნის გაყიდული ჰქონდა. ის გახდა მამა იმ ლიბერტარიანული მიდგომისა, რომელმაც დაანგრია ქართული ეკონომიკა და სოფელი. სწორედ ამ კაცის რეკომენდაციებით და უშუალო წინააღმდეგობით ჯერ კიდევ 2004—2005 წ.წ. ივანიშვილის მიერ არაერთგზის შემოთავაზებული **1 მილიარდი დოლარი ქართული სოფლის ასაღორძინებლად** არ ჩაიდო (ბატონ ბიძინას ერთადერთი თხოვნა ჰქონდა, ისევე როგორც მისი ყველა საქველმოქმედო პროექტის განხორციელებისას, **მისი სახელი არ უნდა გაჟღერებულიყო!**ძ.

ეს ლიბერტარიანელების გეგმაში არანაირად არ შედიოდა. გაიყიდა ყველაფერი, დაინგრა განათლების, ჯანდაცვის სისტემები, პროგრესულად გამათხოვრდა და გაღარიბდა ხალხი. ერთი სიტყვით, ყველაფერი განკერძოვდა, ოღონდაც ყველაფერს დაეპატრონა რევოლუციამდე უპოვარი, მაგრამ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან დაკავშირებული და იმ დროისათვის უკვე **ახალი ელიტა**. ასე და ამრიგად, ცეცხლითა და მახვილით დაბალ და საშუალო დონეზე განადგურებული კორუფცია ელიტურმა, კლანურმა კორუფციულმა მმართველობამ ჩაანაცვლა.

იხ. 4 გვ.

(მესამე გვერდიდან) ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ხდება ხოლმე, რომ სწორედ უპოვარსა და მის ახლო სანათესაოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღმოაჩნდება ბიზნესის (უფრო სწორად ფულისძ კეთებისა და აღმშენებლობის უნარი?

შემდგომ იყო 2008 წლის აგვისტოს ავანტიურული კატასტროფა, რომლის შემდეგაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, არც მეტი, არც ნაკლები, ისევ „აგრესორი რუსეთის“ მოქალაქე **ვაშაძე** ჩაუდგა სათავეში.

აი, ეს უნდა იცოდეს საქართველოს მოსახლეობამ და გააცნობიეროს იმ ამომრჩეველმაც, რომელსაც ჰგონია, რომ ამ ხელისუფლებას 9 წლის განმავლობაში მხოლოდ სათავისო სარგებელზე ზრუნვის შემდეგ, ამჯერად უკვე ჩვენთვის მეტი სარგებლის მიღებაზე შესტკივა გული.

უზნეობაა, როცა მსოფლიოში პირველები ვართ ქვეყანაში პატიმართა და კიდევ უფრო მეტი პრობაციონერით. არადა, რა უცხოური სიტყვაა. თუმცა რა უნდა გაგვიკვირდეს. კარგია, შენმა მზემ, ილიას პორტრეტის ფონზე პოზიორობა და ვითომდაც შეშფოთებული სახით ეროვნულ (ბოდიში, „ნაციონალურ“ძ საქმეებზე წუხილი. სადაც **„სამშობლო“, „მამული“** დავიწყებას ეძლევა, იქ არ უნდა გაგიკვირდეს, რომ **მამულიშვილი** – ეს გენიალური ქართული სიტყვა – სიტყვა „პატრიოტმა“ ჩაანაცვლა. მართალიცაა, ესენი სწორედაც **ნაციონალები** არიან და არაფერი ეროვნული არ სცხიათ. პრეზიდენტი სწორედაც **ნაცების პრეზიდენტია** და არა ქვეყნის. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ამას ვინ წარმოიდგენდა, რომ ეროვნული დღესასწაულები, მაგალითად, „შუამთობა“, „ბეშუმობა“ ან „დიდგორობა“, ნაციონალური პარტიის დღესასწაულად იქცეოდა და იქ მხოლოდ სიებით დაუშვებდნენ ხალხს. სწორედ ამგვარი იდეოლოგიის შედეგია მუდმივად ხზოს ალტაცებითა და ნეტარებით ხელზე კოცნა, დაჩოქება, „მიშა-მიშას“ ძახილი, მათ შორის ეკლესიებში. ეს ყველაფერი ამაზრზენია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ეს მასა მუდმივად არსებობდა და ამ მასის მუდმივი კულტივირება მმართველი რეჟიმის მუდმივი ზრუნვის საგანია. ამას ემსახურება ყველაფერი ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. იგივეს აკეთებდნენ გამსახურდიასა და შევარდნაძის დროსაც. „ბიძინა-ბიძინას“ დაძახებაც სცადეს ერთი-ორჯერ, თუმცა თვით ივანიშვილმა დაუპირისპირა ამას **„სა-ქარ-თვე-ლო“**. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ამნაირი ხალხის წარმომადგენლის შეკითხვა, ჯაბა იოსელიანს რომ დაუსვა – აბა ვის გავყვეთო. ტრამვაის გაყევითო, – მოკლედ მოუჭრა „ქვეყნის აღმშენებელმა“.

როგორ შეიძლება, რომ ადამიანს, რომელმაც თუნდაც ერთხელ ნახა ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი შემქმნელი ეროსი კიწმარიშვილი, შემდგომში მისი ოპოზიციონერობა ეწამა, ან ამ იდეოლოგიის პროდუქტის, „ბორდელების რისხვის“ ოქრუაშვილის ერწმუნა რამე. იგივე და არანაკლებ ამაზრზენი, რაფინირებული ნაციონალია გიორგი თარგამაძე. არავინ შემისწოროს ეგ ქრისტიან-დემოკრატიაო. ეგ ისეთივე დემოკრატია, როგორიც ქრისტიანი. თქვენთვის საუბედუროდ, ძალზე ბევრისთვის არის ცნობილი თქვენი არაერთი საიდუმლო შეხვედრის შესახებ მზეზე მაღალთან, ჩემო ბატონო. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როგორი ერთგულებით გამოირჩევით, თუმცა ეგ ერთგულება ბასმაჩას ერთგულებასთან რა მოსატანია! მე უბრალოდ გული მწყდება, რომ „დროების“ გადაცემების მაყურებელმა და „იმედის“ ბოლო ეთერის წაყვანის დროსაც, როცა „ავტომატებს გიმიზნებდნენ“... ვერ გაგშიფრეთ. მერე გავიგე, რა საგანგებოდ გამოგაცილეს, აი, ინგას და ბევრ სხვას საჩოთირო ადგილებშიც უთავაზეს მუჯლუგუნები და სხვა რამეც, ბევრიც არბენინეს სიბნელეში. თქვენზე კი პატრონებმა იზრუნეს, დაცვით გამოგაცილეს და დაგასაჩუქრეს კიდევაც – მყისიერად შეგიქმნეს პარტია, აბსოლუტურად ყველასთვის მოულოდნელად მოგცეს საარჩევნო ბარიერის „კაცურად“ გადალახვის საშუალებაც. ახლაც ყველანაირად გიდგანან გვერდზე ( ე.წ. სოციოლოგიურ კვლევებში წარმოგაჩენენ, ბილბორდებს გითმობენ, საარჩევნო კომისიებში სასათბურე პირობებს გიქმნიან და ა.შძ. ამიტომ მე პირადად და უამრავ ჩემნაირს ბოცო, აკუ და მისნაირები არ გვაღელვებენ, ესენი ისევე გაქრებიან, როგორც მარტის თოვლი. მე გაცილებით უფრო საშიშად თქვენნაირი „ჟირინოვსკები“ და შადიმან-ლეიბორისტები მიმაჩნიხართ.

# უზნეობის ალლუმი,



## ანუ „მეტი სარგებელი ხალხს“

**აი, ეს უნდა იცოდეს საქართველოს მოსახლეობამ და გააცნობიეროს იმ ამომრჩეველმაც, რომელსაც ჰგონია, რომ ამ ხელისუფლებას 9 წლის განმავლობაში მხოლოდ სათავისო სარგებელზე ზრუნვის შემდეგ, ამჯერად უკვე ჩვენთვის მეტი სარგებლის მიღებაზე შესტკივა გული.**

კიდევ ერთხელ მინდა ნაცმოძრაობის მიერ დეკლარირებულ „ხელმისაწვდომ და ხარისხიან,“ ჯანდაცვის სისტემაზე და საბაზისო სამედიცინო სადაზღვევო პაკეტზე ვთქვა ცოტა რამ. ახლა რომ მჯიღს ირტყამენ მკერდში და ლამის დედმამას იფიცებენ, ისე ადარდებთ თურმე ქვეყნის მოსახლეობის ჯანდაცვის სავალალო მდგომარეობა. ამ დროს რეალური ცვლილებების განხორციელების საშუალება ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან ჰქონდათ. ფინანსურ რესურსს ვგულისხმობ, რომელიც ბიუჯეტის მეტნაკლებად მოწესრიგების შემდეგ ნამდვილად გაჩნდა.

უბრალოდ ამის გაკეთების **სურვილი** არ არსებობდა. წლების განმავლობაში ჯანდაცვის, სოციალური დახმარებისა და განათლების დაფინანსება „მორჩენილით დაფინანსების“ პრინციპს ემყარებოდა და არა ქვეყნის განვითარებაში ამ სფეროების **პრიორიტეტულობას,** როგორც ეს ცივილიზებულ მსოფლიოშია. შესაბამისად, ამის მიზეზი **არასახელმწიფოებრივი** მიდგომა იყო. ამის დასტურია 2004-2011 წლებში მთლიან შიდა პროდუქტთან და ბიუჯეტთან მიმართებაში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები და პროცენტული წილი, რომელიც 3-4-ჯერ და მეტადაც ნაკლებია სსრკ-ს ყოფილი ქვეყნების და ევროპის სახელმწიფოების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. ასევე განსხვავებულია ჩვენ ქვეყანაში არსებული მიდგომა აშშ-სგანაც კი, სადაც ღღეისათვის კოლოსალური, სერიოზული ძვრებია სამედიცინო სერვისებს მოკლებული მილიონობით მოსახლეობის ხარჯების დაფარვასთან დაკავშირებით. ბიუჯეტის ფორმირებისას სახელმწიფოებრივი ხედვის საუკეთესო მაგალითია ისრაელის სახელმწიფო, რომელიც მუდმივად საომარ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ მისი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი ჯანდაცვის, სოციალური სფეროსა და განათლების დაფინანსებაზე მოდის.

აი, ეს უნდა იცოდეს საქართველოს მოსახლეობამ და გააცნობიეროს იმ ამომრჩეველმაც, რომელსაც ჰგონია, რომ ამ ხელისუფლებას 9 წლის განმავლობაში მხოლოდ სათავისო სარგებელზე ზრუნვის შემდეგ, ამჯერად უკვე ჩვენთვის მეტი სარგებლის მიღებაზე შესტკივა გული.

ბაზისური სადაზღვევო პაკეტი რომ მქონოდა, მე არ მომიწევდა ჯიბიდან თანხის გადახდა, როცა რამდენიმე დღის წინათ ფეხის ტრავმის გამო მომიწია გადაუდებელი დახმარებისათვის სპეციალიზებული ტრავმატოლოგიური დახმარებისათვის ლუდუშაურის ცენტრისთვის მიმემართა. ჩემი „იმედი-ლ“-ის კორპორატიული დაზღვევა იქ არ მიიღეს. დავუშვათ, მე, ექიმმა, პროფესორმა, შევძელი თანხის გადახდა. მაგრამ რა უნდა ქნას იმ უამრავმა ადამიანმა, ვისაც ამ ოდენობის თანხის მყისიერად გადახდა უბრალოდ არ შეუძლია? დაზღვევასთან დაკავშირებით კითხვები ძალზე ბევრი დაგროვდა. რატომ არ იფარება ურგენტული დახმარება დაზღვევით (მათ შორის კორპორატიულითძ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში? რატომ არის სახელმწიფო დაზღვევის განმხორციელებელი მხოლოდ მომგებიანი კერძო სადაზღვევო კომპანიები და არა არამომგებიანი კერძო სექტორი, როგორც ეს ევროპულ სახელმწიფოებშია? ასეთ პირობებში კერძო დაზღვევის მესვეურები ხომ არავითარ შემთხვევაში არ არიან დაინტერესებული მოგების იმ მაღალი მარჟის დაწევით, რის გარეშეც მათი კომპანია უცილობლად გაკოტრდება? ვინ აკონტროლებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის დადგენილ ფასებს და ა.შ.? დაზღვევის სფეროში არსებული გაწუკითხაობის შედეგია ის სავალალო, ლეტალური შედეგები, როცა, მაგალითად, დაზღვეული ორსულის სხვადასხვა რაიონში წინ და უკან ტარებამ მშობიარის გარდაცვალება გამოიწვია, ისევე, როგორც მწვავე მუცლით პაციენტისათვის დახმარების გაუწევლობას ხელისუფლების მიერ ესოდენ გაპიარებულ ერთ-ერთ **მრავალპროფილურ** საავადმყოფოში, ასევე მისი დაღუპვა მოჰყვა. სამწუხაროა, რომ ჯანდაცვის ფილოსოფოსი მინისტრისთვის ეს მორიგი „ცნობილი ქეისი“ (ინგ. case – შემთხვევაძ გამოდგა.

სამწუხაროა, რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც კონსტიტუციით ჩვენი უფლებებისა და თავისუფლების გარანტი უნდა იყოს, საქართველოს უკეთეს მომავალზე ჭეშმარიტად გულანთებულ, მაგრამ მისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს, „წარსულის გადმონაშთებად“, „ჯოჯოებად და მუმიებად“ დაუმსახურებლად მოიხსენიებს. ძალზე სამწუხაროა, როცა ვერ ხვდება , რომ ეს სწორედაც მას აკნინებს მხოლოდ და არა ძალზე ბევრ ღირსეულ მამულიშვილს.

**სწორედ ამიტომ უნდა დამთავრდეს პირველ ოქტომბერს ეს უზნეობის ალლუმი.**



**გიორგი ბოჭორიშვილი,**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს, ევროპის (EAU), საერთაშორისო (SIU) და ამერიკის (AUA) უროლოგთა ასოციაციების ნამდვილი წევრი, ევროპის უროლოგთა სკოლის (ESU) ლექტორი, ფულბრაიტის სტიპენდიატი.**

## დღევანდელობა

# სემეკი უცხოელების სასარგებლოდ მუშაობს!

**ძალიან ხშირად ჩვენი ხელისუფლება საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის საზიანო, მიუღებელ გადაწყვეტილებებს იღებს. სამაგიეროდ, ეს გადაწყვეტილებები მომგებიანი და მისაღებია უცხოური კომპანიებისა და ინვესტორებისათვის. ანალოგიურად იქცევა საქართველოს ელექტრომარეგულირებელი კომისია (სემეკიძ. მისი დადგენილებები და ბრძანებულებები გამოუვალ მდგომარეობაში აყენებენ ჩვენს მოქალაქეებს, უცხოელებს კი სასათბურე პირობებს უქმნიან.**

**ა/ო თბილისის წყლის გამანაწილებელ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ბრალს სდებენ იმაში, რომ კომპანია მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს აიძულებს დააყენონ კონკრეტული ფირმის წყლის მრიცხველები. წინააღმდეგ შემთხვევაში წყლის მიწოდების შეწყვეტითა და საჯარიმო სანქციებით ემუქრებიან. კომპანია სრულიად აბსურდული ე. წ. შეტყობინებების საფუძველზე აფრთხილებს მეწარმეებს, მერე კი დანაპირები სისრულეში მოჰყავს. თუმცა ე. წ. გაფრთხილება მეწარმეებს არ ბარდებათ, მისი დოკუმენტური დასაბუთება და რეგისტრირება არ ხდება. შეთავაზებულ (იძულებითძ მრიცხველებს კომპანია არ ამოწმებს, არ ხდება მათი ექსპერტიზება, არ არსებობს ალტერნატიული აპარატურა. – აცხადებენ არასამთავრობოები და ადარებენ ცოტა ხნის წინათ ხელისუფლების მხრიდან სალარო აპარატების დანერგვის მცდელობასთან. ისევე, როგორც სალარო აპარატების შესყიდვის ვალდებულების დაკისრებისას, მისი აუცილებლად შესრულების მოთხოვნამ და, შესაბამისად, არაადეკვატურად მაღალმა ფასმა შესაძლოა, კვლავაც მრავალჯერადი ხასიათი მიიღოს.**

**მათთვის წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ საქართველოში წყლის გამანაწილებელი უცხოური კომპანია იშველიებს რა ჩვენი სემეკის 2010 წლის №6 ბრძანებას, აცხადებს, რომ მათი მოთხოვნა სრულიად სამართლიანია, რადგანაც კანონმდებლობით (იგულისხმება სემეკის ბრძანებაძ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტისა და სტანდარტების შესაბამისი გამართული სააღრიცხვო კვანძის მოწყობა. აქვე წყლის კომპანია განმარტავს – ობიექტზე დამონტაჟებული მრიცხველების ექსპერტიზა (იგივე სემეკის №6 ბრძანებითძ აკრძალულიაო(?!ძ.**

**მრიცხველების თემა კარგა ხანია, ჩვენი მოსახლეობისაგან ფულის გამოძალვის წყაროდ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ხელშეკრულებას ხშირად არღვევს, ხელისუფლება მის გადაწყვეტილებებს მშვიდად ეგუება. ცხადია, რომ კომპანიაში უმაღლესი ეშელონების ინტერესებია ჩადებული, – აცხადებენ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები.**

# გაყიდული ტენდერი

**ხელისუფლება უცხო ქვეყნებში თავს იწონებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებებით. ერთი პერიოდი სახელმწიფო ტელევიზიები ყოველდღიურად გვამცნობდნენ სხვადასხვა დონის ჩინოვნიკების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე (ძირითადად ფინანსური და ეკონომიკური სახისძ. მაგრამ შემდეგ ნაციონალების მამები დაფიქრდნენ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ კორუფცია დამარცხებულია, ამდენი დანაშაული საიდანო და გადაწყვიტეს მათი მართვადი ტელეარხებით აღარ გაეშვათ ჩინოვნიკების მიერ დატრიალებული „საქმენი საგმირონი“, მიუხედავად იმისა, რომ მექრთამეობა და კორუფცია მაინც ჰყვავის. სხვადასხვა რანგის მოხელეები იმ დონემდე გათავხედდნენ, რომ ხშირად კანონიერის დაკანონებისთვისაც კი ქრთამს ითხოვენ.**

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ჯემალ ხიმშიაშვილი და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი თენგიზ ხუციშვილი. მათ ბათუმის ქუჩების მოსაპირკეთებლად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების გარანტიის სანაცვლოდ ერთ-ერთი ფირმის უფროსს ქრთამის სახით გამოართვეს 4700 ლარი. ტანდემმა ფირმის ხელმძღვანელს ტენდერში გამარჯვების შემდეგაც აღუთქვა მხარდაჭერა. სამსახურის უფროსის ბრძანებით მთავარმა სპეციალისტმა პროტეჟე ფირმას გამოუწერა ზედნადები, რამაც ამ უკანასკნელს საშუალება მისცა საჯარიმო სანქციებისათვის თავი აერიდებინა.**

**დაბალი და საშუალო დონის მოხელეებში მომრავლებული გახმაურებული თუ გაუხმაურებელი ფაქტები ანალიტიკოსებს იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ფულის უზომო სიყვარული ღრმად არის გამჯდარი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც. მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი იმალება!..**

**ზაზა ბილიხოძე**

**აქტუალური ინტერვიუ**

# „ამათი დარჩენა ხელისუფლებაში ჩემს სიკვდილზე უარესია“

გვესაუბრება აკადემიკოსი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ივანე კილურაძე



**— ბატონო ივანე, თქვენ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მე-8 ხართ. რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრება?**

— გამოჩნდა შესაძლებლობა, რომ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმი შეიცვალოს დემოკრატიული წყობით და გამოჩნდა ლიდერი — ყველა ღირსებით შემკული კაცი. არ შემეძლო პასიური მჭვრეტელი ვყოფილიყავი და მის გვერდით არ დავმდგარიყავი. მით უფრო, რომ ეს ყველაფერი ბატონი ბიძინას სურვილით მოხდა, მისი ინიციატივა იყო, დიდ პატივად ჩავთვალე და ჩემი ქვეყნისთვის ასეთ კრიტიკულ მომენტში, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, განზე ვერ დავდგებოდი.

**— რატომ არის კრიტიკული მომენტი საქართველოსთვის?**

— ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. თუ დააკვირდით, აზიის ბევრ ქვეყანაში ასეთი ტენდენციაა: ვიღაც მივა ხელისუფლებაში, მერე მას სურს თავისი ყოფნის დაკონსერვება. მრავალი ასეთი ქვეყნის ჩამოთვლა შეიძლება. ზოგან ისეც ხდება, რომ ძალაუფლება მამიდან შვილზე და მერე შვილიშვილზეც გადადის... ჩრდილო კორეა ამის კლასიკური მაგალითია. თუმცა, ეს ხდება არა მარტო კომუნისტურ ქვეყანაში. სააკაშვილის დიქტატურის გასამართლებლად მოაქვთ სინგაპურის, იაპონიის მაგალითი, სადაც წლების მანძილზე ერთი და იგივე პარტიაა ხელისუფლებაში.

თუკი ჩვენთან ეს რეჟიმი დაკონსერვდება, უბედურებას მოუტანს ქვეყანას. მათ რომ ეს სურთ, არაერთხელ განუცხადებიათ.

თუ საქართველო ავტორიტარულ ქვეყნად დარჩება, მომავალი არ უწერია. ცივილიზებული სამყაროსგან გარიყული, შესაძლოა, ლიბიის, ანდა კუბის ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. ასე ქვეყანა ვერ განვითარდება. ეს, ფაქტობრივად, ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა. ამათი მმართველობის პერიოდში კატასტროფულად გაიზარდა საქართველოს ვალი, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანამ 6 მილიარდზე მეტი დახმარება მიიღო დასავლეთისგან, ქვეყნის ვალი კიდევ გაიზარდა. ეს ხომ საშინელებაა. და ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა იხადონ. ბოლომდე გათვლა იმისა, რა მძიმე მდგომარეობაში შეიძლება ქვეყანა აღმოჩნდეს, ჯერ კიდევ შეუძლებელია.

მეორე მხრივ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იერიში მიიტანეს განათლებასა და მეცნიერებაზე. მათ ცინიკურად დაანგრიეს კვლევით დაწესებულებათა სისტემა და უმაღლესი განათლების სისტემა მოსპეს. დღეს ახალგაზრდები სრულფასოვან უმაღლეს განათლებას ვერ იღებენ, რაც ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანს.

სწორედ ამიტომ არ შეიძლება კაცი დამშვიდდეს და ელოდოს, როდის ინებებს სააკაშვილი პენსიაზე წასვლას. თუ არ ვცდები, 45 წლისაა და თუ კიდევ 45 წელი მოინდომა ხელისუფლებაში ყოფნა, საქართველოს საერთოდ რუკიდან გააქრობს.

**— ასეთ კრიტიკულ ვითარებაში რამდენად ეფექტიანია „ქართული ოცნების“ პროგრამა? რამდენად შეცვლის ამ ვითარებას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?**

— უპირველეს ყოვლისა, საქართველოში წერტილი დაესმება ავტორიტარულ რეჟიმს და ქვეყანა დემოკრატიული განვითარების რელსებზე გადავა. ესაა უმნიშვნელოვანესი.

განვითარებისთვის სულიერ თუ მატერიალურ ფასეულობებს თავისუფალი ადამიანები ჰქმნიან. შეიქმნება ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო გარემო. არის კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისა, მისი ჩიხიდან გამოყვანისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული სოფელი გადარჩება. ეს ურთულესი და უმწვავესი პრობლემაა დღეს.

ბიძინა ივანიშვილი რამდენიმე წლის წინათ (ამათ ხელისუფლებაში მოსვლისთანავეძ სთავაზობდა ამ ხელისუფლებას, რომ 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ჩადებდა სოფლის მეურნეობაში. ეს რომ მაშინ განხორციელებულიყო, დღეს სრულიად განსხვავებული საქართველო გვექნებოდა. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყება ასეთი პროგრამის განხორციელება. სამუშაო ადგილები შეიქმნება, ბიზნესი განვითარდება. ხალხი სულს მოითქვამს. რა თქმა უნდა, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში სერიოზული რეფორმაა ჩასატარებელი, რათა იმ ადამიანებს, რომლებიც მეცნიერულ ფასეულობებს ქმნიან, მუშაობისთვის საჭირო წინაპირობები შეექმნათ, და რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ისეთი გახდნენ, როგორიც ჩვენს ქვეყანას ეკადრება.

> **არ შეიძლება კაცი დამშვიდდეს და ელოდოს, როდის ინებებს სააკაშვილი პენსიაზე წასვლას. თუ არ ვცდები, 45 წლისაა და თუ კიდევ 45 წელი მოინდომა ხელისუფლებაში ყოფნა, საქართველოს საერთოდ რუკიდან გააქრობს.**

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვაა. დღეს ქვეყანაში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ავად გახდომის უფლება არა აქვს რიგით მოქალაქეს. „ოცნების“ პროგრამაში ეს ყველაფერი კარგად არის მოფიქრებული — ყველას ექნება ჯანმრთელობის დაზღვევა, ისე კი არ გაკეთდება, როგორც ახლა ხდება, ამდენ და ამდენ საავადმყოფოს ავაშენებთო, რომ გაიძახიან. რამდენიც არ უნდა ილაპარაკო საავადმყოფოს აშენებაზე, თუკი იქ ავადმყოფს არ მიესვლება, და ფულის გადახდისა და მკურნალობის საშუალება არა აქვს, რა აზრი აქვს მაშინ პატარ-პატარა ფსევდოსაავადმყოფოების დაარსებას. ამ სფეროში უდიდესი მუშაობაა ჩასატარებელი. ეს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

პრიორიტეტია განათლების რეფორმა, რათა განათლება ხელმისაწვდომი იყოს. ამას ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება. მე პირადად მომწონს ევროპული, გერმანული მოდელი, სადაც სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში ფულს არ იხდის. განათლების საფასურს თვითონ სახელმწიფო იხდის. მე პირადად ამ მოდელს დავუჭერ მხარს. ასევე მხარს დავუჭერ კვლევითი დაწესებულებების ერთიანი სისტემის აღდგენას, ვინც მეცნიერებაში მუშაობს, იმას მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს. თუ ქვეყანას მაღალი დონის მეცნიერება არ ექნება, მას არც მაღალი დონის განათლება არ ექნება. დარწმუნებული ვარ, თავად „ქართული ოცნების“ წევრებს, ვინც მომავალ პარლამენტში მოვლენ, ეს საკითხი კარგად აქვთ გაცნობიერებული.

**— რაღა დარჩა არჩევნებამდე? ოციოდე დღე! საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევნები გაყალბდება, ხალხი შეშინებულია, რომ რაღაც ცუდი მოხდება — რეპრესიები განხორციელდება „ქართული ოცნების“ წევრებზე, შესაძლოა, სისხლიც დაიღვაროს...**

— ესენი რომ ყველაფერ ცუდს გააკეთებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რატომ უნდა მეშინოდეს ამ ხელისუფლების? ბოლოს და ბოლოს მომკლავენ... ამათი დარჩენა ხელისუფლებაში ჩემს სიკვდილზე უფრო უარესია.

ჩემი არჩევანი კარგა ხანია, გავაკეთე, მაშინ, როცა უსინდისოდ შემოუტიეს მეცნიერებას. პირველად ეს თავზარდამცემი იყო ჩემთვის, მერე ვიფიქრე, რა მოხდა, ამ საქმეს შევეწირები-მეთქი და დავმშვიდდი. ბოლოს და ბოლოს, რეპრესიები, 1921 წლიდან მოყოლებული, ჩემმა მშობლებმა და მათმა მშობლებმაც უკვე გადაიტანეს. 1924 წლის აჯანყების შემდეგ ერთადერთი რეგიონი, სადაც აჯანყებებმა რეალური სახე მიიღო, გურია იყო — გურიაში ხელისუფლება შეცვალეს და რევკომების ნაცვლად ერობები აღადგინეს. იქიდან მოყოლებული ჩემს ოჯახში განუწყვეტლივ გრძელდებოდა რეპრესიები, რასაც ბაბუა, მამაჩემი და ბიძაჩემი შეეწირნენ. მამაჩემი გადაასახლეს კომში, რუსეთში. ომის დროს მას გაუთავდა გადასახლების ვადა, იქიდან პირდაპირ ფრონტზე გაუშვეს, როგორც პოლიტპატიმარი და პირველივე ბრძოლაში დაიღუპა. მამა რომ დააპატიმრეს, მე 6 თვის ვიყავი. 1942 წელს დედაც დააპატიმრეს ანტისაბჭოთა საქმიანობის მუხლით. ასე რომ, ეს ყველაფერი ჩემი ოჯახისთვის უცხო არაა. მე რომ შევშინდე და სადღაც დავიმალო, მამაჩემს და დედაჩემს იმქვეყნად როგორ შევხედო?

ეს მეტ-ნაკლებად ყველა ქართველს, ყველა ჩემს თანამემამულეს ეხება. იშვიათად მოიძებნება ოჯახი, რომელსაც პირდაპირ, ან ირიბად 30-იანი წლების რეპრესიები არ შეხებოდეს. თუნდაც იმათი ხსოვნის წინაშე ვართ მოვალენი — არ შეიძლება საქართველოში დიქტატორული რეჟიმი დავაკონსერვოთ. არ შეიძლება ისეთი ხელისუფლება გვყავდეს, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს ხელს წაატანს, სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადებს და ციხეში ჩასვამს.

დღეს იმდენი პოლიტიკური პატიმარია საქართველოში, 30-იანი წლების შემდეგ ამდენი პოლიტპატიმარი არც ყოფილა. ერთი ჩემი მოგვარე ბაკურ კილურაძეც ზის სამშობლოს მოღალატის მუხლით. მას კარგად ვიცნობ, მხურვალე პატრიოტი და უკეთილშობილესი პიროვნებაა, განათლებული, ნასწავლი, ჭკვიანი კაცია, ქვეყნისთვის დაბადებული. როგორ შეიძლება 21-ე საუკუნეში მსგავსი რამ ხდებოდეს? და როგორ შეიძლება ამას შევეგუოთ? ამიტომ ჩემს თანამემამულეებს მოვუწოდებ — ნუ შეგეშინდებათ. დღეს ამ შიშის გამო დამალვა ქვეყნის ღალატია. ნუ დაამადლით თქვენს სამშობლოს, ქვეყანას, რომ მიხვიდეთ საარჩევნო ყუთთან და ხმა მისცეთ, თქვენი ნება გამოხატოთ. ეს დიდ უბედურებად მოუბრუნდება თქვენს შვილებს და შვილიშვილებს, დიდ უბედურებად მოუბრუნდება საქართველოს.

**— თქვენ ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ხართ და კარგად უწყით გაყალბებების მექანიზმი. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს ხელისუფლება ყველა რესურსს აამოქმედებს გამარჯვებისთვის, არც გაყალბებისგან დაიხევს უკან. და მაინც როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ამის შესახებ არაერთგზის მითქვამს — გაყალბება ძირითადად უბანზე ხდება, იქ, სადაც ხმას აძლევენ, იქ მახინჯდება ხმები. ახლა ვგონებ ეს ნაკლებად ალბათურია. რადგან კონტროლის მექანიზმია შემუშავებული. ბოლოს და ბოლოს ყველა საუბნო კომისიაში „ქართული ოცნების“ ორი წევრია და კიდევ არიან დამკვირვებლები. ფაქტობრივად, აქ დამახინჯება არ შეიძლება, თუ აშკარა კრიმინალს არ ჩაიდენს კაცი. მაგალითად, საერთოდ არ დაითვლიან ხმებს და ისეთ რაღაცას დაწერენ, რაც მათ აწყობთ.

თეორიულად დღეს ეს გამორიცხული არ არის. მაგრამ ის, რომ ცესკოში უბნებიდან მისული სიები შეცვალონ, ეს კრიმინალია, ძალიან დიდი და ძალიან სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულია. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყველა უბანზე ოქმი იწერება. ეს ოქმები შეგროვდება და დღის ბოლოს „ქართულ ოცნებას“ უკვე საერთო სურათზე წარმოდგენა ექნება. აი ახლა ხომ არაა გამორიცხული, რომ ან ოლქში, ან სადღაც ეს შეცვალონ? ხალხმა არ უნდა მისცეს ამის ნება. სწორედ ამას ამბობს ბატონი ბიძინა. ხალხმა უნდა აიძულოს ესენი, რომ თავი შეიკავონ გაყალბებისგან. ვფიქრობ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, 29-ში თბილისში მიტინგზე რამდენი კაცი გამოვა.

> **რა გააჩერებს 29-ში ნორმალურ ადამიანს შინ, როცა ასეთი მნიშვნელოვანი რამ წყდება. ხალხი რომ გამოვა, დაანახვებს ამ ხელისუფლებას, რომ მათ არ გაუვათ ძველი გზით სიარული, არ გაუვათ ხალხის აბუჩად აგდება.**

რა გააჩერებს 29-ში ნორმალურ ადამიანს შინ, როცა ასეთი მნიშვნელოვანი რამ წყდება. ხალხი რომ გამოვა, დაანახვებს ამ ხელისუფლებას, რომ მათ არ გაუვათ ძველი გზით სიარული, არ გაუვათ ხალხის აბუჩად აგდება.

**— თქვენ გჯერათ, რომ ქვეყანაში სიტუაცია შეიცვლება?**

— მჯერა. მთავარია, ყველას სჯეროდეს. იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც პასიურობს ახლა — კარგი, სასიკეთო ცვლილება რომ მოხდება ქვეყანაში, არ დასწყდებათ გული, რომ ეს მათი მონაწილეობის გარეშე მოხდა? მათ კი ისეთი იოლი რაღაც არ გააკეთეს, რომ მისულიყვნენ საარჩევნო ყუთთან და ხმა მიეცათ.

ეს ხელისუფლება აგდებულად ეპყრობა ადამიანებს. არჩევნები ორშაბათს დანიშნეს. კარგი, საქართველოში პრობლემა არ არის არჩევნებზე მისვლა, ალბათ, უქმე დღედ გამოაცხადებენ. მაგრამ რა ქნან უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა? ვინ გაათავისუფლებს მათ სამსახურიდან და ვინ მისცემს სხვა ქალაქში კენჭის საყრელად წასვლის ნებას? რა მოხდებოდა, რომ უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის არჩევნების დღე კვირას გადმოეტანათ?

რა არის ახლა ამაში ჩადებული თუ არა აგდებული დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეებისადმი? მსგავს ფაქტებს ხომ უნდა ბოლო მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ? ვგონებ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება და არაფერი არ შეიცვლებაო...

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

ერიჰა!

# მალე ჩინელი დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე გვეყოლება

**საქართველოში მასობრივად შემოსული ჩინელები ქართულ გვარებს ეტანებიან და უახლოეს ხანში კიდევ 3 ათასამდე ჩინელი ბავშვის შემოყვანას აპირებენ. ისინი ძირითადად მშენებლობაზე არიან დასაქმებულნი და გაცილებით მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე ქართველი მუშები.**

**„თავისუფალი საქართველოს“ ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გია ყრუაშვილი For.ge-სთან მობილურით საუბრის დროსაც ხარაგაულის გზაზე არაერთ ჩინელს გადააწყდა და შესაბამისი შეძახილებითაც შეამკო მოზღვავებული ჩინელები- „რას თხრიან და რას აკეთებენ, კაცმა არ იცის!“ გია ყრუაშვილის თქმით, ჩინელების შემოტევა და მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება საარჩევნო წლისთვის გააქტიურდა. ჩინელებს მასობრივად აძლევენ ქართულ გვარებს, ასაქმებენ ობიექტებზე და გასაკვირი არაა, თუ ვის სასარგებლოდ მისცემენ ხმას ახლად დაფუძნებული უცხოელები.**

**— იმერეთში ჩინელები განსაკუთრებულად მოზღვავდნენ?**

— მოზღვავდნენ კი არა, უკვე საგრძნობლად ჩანს არა მარტო ხარაგაულში, არამედ ქუთაისშიც. ხარაგაულელებზე მეტი თუ არა, არც ნაკლებნი აღარ არიან. მთელი ნუნისი, მოლითი და იქით არსებული ტერიტორიები ჩინელებითაა დასახლებული. თვალყურს ვადევნებ და იმ ტერიტორიებსა და საძოვრებზეც უკვე გამოჩნდნენ. კოტეჯებისა და სახლების ჩასადგმელად ადგილს ეძებდნენ. ეს კი იმას გვიქადის, რომ, თუ ახლანდელი არჩევნები გადაიტანა ნაციონალურმა მოძრაობამ (და ნაციონალური მოძრაობის უკან კიდევ ვინ დგას, კაცმა არ იცის), მაშინ მომავალ არჩევნებზე უკვე ჩინელები აირჩევენ საქართველოს პრეზიდენტსაც, პარლამენტსაც და ყველა სფეროშიც ესენი იქნებიან.



თავიდან რომ შემოვიდნენ ხარაგაულში, ძალიან თავმდაბლად იქცეოდნენ, ახლა უკვე ამ დანგრეულ გზაზე თითქმის 80 კილომეტრით დადიან და არაფერს ერიდებიან. ხარაგაულში შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ ჩინელები ძალიან მომრავლდნენ. ახლა 2 ათასი თუ 3 ათასი ბავშვის ჩამოყვანას აპირებენ წიფის საჯარო სკოლაში. სამსართულიანი სკოლაა წიფში და დირექტორს უკვე დაავალეს, რომ პირველი და მეორე სართულებიდან ქართველი ბავშვები გაყაროს და მესამე სართულზე აიყვანოს, ხოლო ქვემოთა სართულებზე უნდა შევიდნენ ჩინელები.

თბილისი და აჭარა უკვე თურქებსა და სომხებს აქვთ გადაფორმებული. ახლა ოფიციალურად 22 ათასი თურქია აჭარაში ჩასახლებული. მტკიცებულებები მაქვს, რომ მათ სასწავლებლებშიც ასწავლიან, ვითომც აჭარა თურქეთის ტერიტორია იყო. ერთი იმერეთიღა დარჩა და იმერეთშიც ჩინელები მოდიან.

**— მართალია, რომ რამდენიმე ჩინელმა წერეთლის გვარი მიიღო? იმასაც ამბობენ, რომ უკვე გვყავს ჩინელი დურმიშხან გელაშვილი და გიორგი გელაშვილი?**

— ჩინელებმა წერეთლის გვარიც მიიღეს და სულ მალე, შეიძლება, დავით აღმაშენებლად და ილია ჭავჭავაძედაც მოგვევლინონ. არის ჩინელი დურმიშხან გელაშვილი და გიორგი გელაშვილი. ამ უკანასკნელს ელიავას ბაზრობაზე აქვს მაღაზიები. ეს ჩინელი ორ კვირაში ერთხელ ჩამოდის ხარაგაულში და ხელმძღვანელობს ჩინელების დაწესებულებებს. პირველად თქვენ გეუბნებით, რომ აქაურ მთებსა და მიწებში ურანი მოიპოვება და ტენდერში ჩინელებს გაამარჯვებინეს. პირდაპირ რომ შემოესახლებინათ, ხომ იცით, ამას რა რეაქცია მოჰყვებოდა? ამიტომ ვითომ მოიგეს ჩინელებმა რაღაც გაურკვეველი ტენდერი და რა გზა გაჰყავთ, რა გვირაბი, კაცმა არ იცის.

სხვათა შორის, რკინის ჯვრის გათხრასაც აპირებენ, სადაც ანდრია პირველწოდებული პირველად შემოვიდა და მართლმადიდებლობა შემოიტანა. რკინის ჯვარიც ამიტომაც ჰქვია, ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ადგილი. ნუნისი არის ადგილი, სადაც ლაზარეს კვართი ინახება. ამ ადგილსაც ჩინელები ეპატრონებიან. ჩვენი ხელისუფალნი შეგნებულად ებრძვიან ქართულს და მართლმადიდებლობას. ყველამ ვიცით, ათასნაირი სამკურნალო წყლები იყო ხარაგაულის რაიონში, ახლა ამასაც ჩინელები დაეპატრონენ. ფაქტობრივად, მათ მიერ დაწყებული თხრების შედეგად ზოგიერთი ეს წყარო გაქრა.

**მანანა ნოზაძე**

ინფორმაცია

## მოროშკინას გაათავისუფლეს



**იმ შემთხვევაში, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ პირველ ოქტომბერს გამართული არჩევნების შემდეგ უმრავლესობაში მოვა, ევროპას პოლიტიკურ თავშესაფარს ვთხოვ, — ამის შესახებ ჟურნალისტმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ლალი მოროშკინამ „ინტერპრესნიუსის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისი განმარტებით, ჟურნალისტური გამოძიების მიზნით, როლანდ ახალაიას კომენტარის მოსაპოვებლად ზუგდიდში ჩავიდა, სადაც გაურკვეველი პირები დაჰყვებოდნენ; ზუგდიდის შტაბში კი, როგორც მოროშკინამ აღნიშნა, მხარდაჭერა გამოუცხადა „ქართულ ოცნებას“, საკუთარი მხარდაჭერა გადაცემა „შალვა რამიშვილის დილაშიც“ დააფიქსირა, რის გამოც, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს.**

**— სასწავლო წლის დაწყების წინ, უნივერსიტეტში გამოვცხადდი, სადაც რექტორმა გია კავთუაშვილმა, მითხრა, რომ ის, როგორც ბიზნესმენი შევიწროებული იყო და ჩემს გამო, მისი ბიზნესი საფრთხეში იმყოფებოდა. ხელფასს შემინარჩუნებდნენ, თუ ვიქნებოდი ჩუმად და არ ვიხმაურებდი. ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია, — განაცხადა მოროშკინამ.**

**მისივე თქმით, მისი გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი წიგნის „გისოსებს მიღმა საქართველოა“ ავტორობა იყო. იმ შემთხვევაში, თუ მმართველმა გუნდმა ძალაუფლება შეინარჩუნა, ამ ქვეყანაში აღარ დაედგომება, — ასკვნის მოროშკინა.**

ინტერპრესი

ინტერნეტიდან



# „ამხანაგი შაშკინ-ლამანჩელი!“

**ვარდისფერ სათვალეს მაინც ვერ ელევა — ამჯერად ავღანეთში ჩვენს ბიჭებთან თავდაცვის მინისტრად მივლენილი ამხანაგი შაშკინ-ლამანჩელი...სოციალურ ქსელ ფეისბუქზე ასეთი წარწერით თავდაცვის მინისტრის დიმიტრი შაშკინის ფოტო გავრცელდა. გთავაზობთ კომენტარებს ინტერნეტიდან**

**გოჩა:** როგორ ეტყობა, მაგარი ნაომარია.

**ზაზა**: ყ..თა ბელადი დიმაშკინი.

**სულიკო**: სპილოებზე მონადირე ბრაკონიერს არ ჰგავს?

**სალომე**: ვარდისფერი არ არის ეს, წითელი სათვალეა, მასწავლებლების სისხლით შეუღებია გასულ წელს.

**გიორგი** : D&G გაიხადა კაცმა და სათვალეც არ აპატიოთ ახლა...

**ლექსო**: ხვლიკის სისხლია ეგ...

**გიორგი**: შაშკინ ბონდ...

**გეორგე**: გაუპარსავი ამხანაგი შაშკინი ახალ ამპლუაში — პოსტრევოლუციური (პოსტ-ვარდების-შოულუციური) საქართველოს რიგით მეშვიდე თავდაცვის მინისტრი, ვარდისფერსათვალიანი სამოქალაქო პირი! ანუ, უდრეკი გენერალისიმუსი, მიშიკოს უძლეველი მხედართმთავარი!:)

რა კოშმარია! გენერალი გიორგი კვინიტაძე ალბათ საფლავში გადატრიალდა.

**გეორგე**: ჩრდილო კორეა მონაგონია! აჯობებს დირექტორები სკოლებში დააბრუნონ და მანდატურებს ჯარში უკრან თავი! ოღონდ არა ბატალიონების მეთაურებად! დონ შაშკინ ლამანჩელთან და მის საჭურველთმტვირთველ სეფერთელაძესთან წინადადება: დირექტორებად რომ მანდატურები დანიშნეთ განათლებაში... მოღვაწეობის ჟამს, ახლა ის გამოთავისუფლებული დირექტორები ბატალიონების მეთაურებად მაინც შეარჩიეთ — დასაქმებისა და „მეტი სარგებელი ხალხს“ პონტში.

**თემური**: მეტი კომფორტი თან ჰყავდა ნეტავ?

**დავიდ**: რა სასაცილოა რაა, განათლების მინისტრი თავდაცვის მინისტრი როგორ უნდა იყოს? ეს არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება... ეს იგივეა რაც, ჩიორა თაქთაქიშვილი გადაიქცეს უცებ ტერმინატორად...

**ელენე**: თუ ჩიორა დააყენეს თავდაცვის მინისტრად, ან ქობალია, მერე ნახეთ.

**ელენე**: ვერა იყოს რა თავდაცვის მინისტრი, რა მაგარი იქნება... არცაა გამორიცხული...

**გეორგე**: განათლების მინისტრობამდე რა ამპლუაში იყო თუ გახსოვთ?

**ავთო**: საინტერესოა, აქ რომ შაშკინს აგინებენ, რამდენია ამათგან სკოლის მასწავლებელი? სნობების ქვეყანას გაუმარჯოს. ნუ ნერვიულობთ, სნობობაში ცუდი არაფერია, ნახევარი საქართველო მასეთია. უბრალოდ ცუდი რაღაცები რომ ხდება ქვეყანაში, სნობებია ხოლმე ქუჩაში მშივრები რომ დარბიან.

**თეიმურაზ**: ხარაგოულის საავადმყოფოში მეან-გინეკოლოგის ვაკანსიაა, ნეტავ დიმა ვერ შეითავსებს?

**კირილე**: ნეტა კახა სეფერთელაძე არ ახლავს? ის ხომ პატარა ძმაა მაგის..

**გეორგე**: შაშკინის მეხოტბეთა ანგარიშებს სპეციალურად ჩამოვუარე, ცალცალკე გადავავლე თვალი მათ გვერდებს და დავრწმუნდი, რომ დიდი უმრავლესობა ყალბია გვარ-სახელიანად! სურათები ან ყალბია, ან მუქი სათვალით, ან ბუნების პეიზაჟებია ასახული, ავტომანქანები და ა.შ. ძირითადად აშაირებენ შაშკინის, სააკაშვილის, უგულავას გვერდებიდან ბმულებს... არაფერი პირადი...

**გეორგე**: ტყეშელაშვილი მინდა თავდაცვის მინისტრად! ტყეში გამოუშვით!

**მაკა**: ავთო,მაგ ლოგიკით პირველი სნობი სწორედ ახლანდელი პრეზიდენტი გამოდის-რასაც ეგ ხალხს ლანძღავს და სხვებსაც მოუწოდებს, რასაც ეგ გვარების ჩამოთვლით, დიდიან-პატარიანად „მტრებს“ ასახელებს... თუ მისი დასახელებულები მტრები არიან და სხვისი — სნობიზმის მაგალითი? ორმაგი სტანდარტებია სწორედ რომ აფუჭებს ყველაფერს და არა ის, რომ ადამიანს ვილაც ჩინოვნიკი არ მოსწონს. ანკი, რატომ უნდა აქოს მოქალაქემ ჩინოვნიკები საერთოდ?

**გიორგი**: რა მონური მორჩილებით გამოირჩევიან ნაცმაცუნები, რავა ყველაფერი მოწონთ ამ ნაგვების?

**ოთარ**: ისე საინტერესო ფენომენია, როდესაც ლიბერტარიანელებსაც არ მოსწონთ შაშკინი. არადა ყველაზე „კარგი“ მენეჯერი ეგ აღმოჩნდა. ნუ ყოველ შემთხვევაში მთავრობის შემადგენლობაში. თუმცა რატომ არის კარგი მენეჯერი კაცმა არ იცის... განათლების სისტემა ისეთივე ნაგავია , როგორიც იყო მის მოსვლამდე დისციპლინა თუ განსაზღვრავს მხოლოდ პროექტის წარმატებას, სავარაუდოდ, ყველაზე დიდი მრევლი მას ჰყავს.

**მამუკა**: სხვის დაცინვაში მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონები ვართ.

**გიორგი**: მე სამოსანი ვიყავი საბჭოთა სკოლის, შემაჯიბრეთ დღევანდელი ათოსნები! დაგიმტკიცებთ, რომ თქვენი განათლების რეფორმა ნაგავია!

**თეიმურაზ**: მენეჯერი რომ შეაფასო, მინიმუმ უნდა იცოდე, რა არის მენეჯმენტი, რომელ „კერძს“ უხდება და რომელ „სასმელს“, ქართულად მენეჯერია დირექტორი.

**ავთო**: მაკა, ვინ გამოდის პირველი სნობი, მაგ უკვე თქვენ გაარჩიეთ. მე არ მაინტერესებს. მე არ ვერევი პოლიტიკაში. არ ვარ შაშკინის ფანატი, ან მოძულე. მე უბრალოდ დავაფიქსირე ფაქტი.

**მამუკა**: ნიუტონის მეორე კანონი

**ნატო**: სასაცილოა და ეცინება ხალხს. ჯერ ნადზირატელი თავდაცვის მინისტრად, მერე შაშკინი.. ალბათ გვარში შაშკა რომ აქვს, ამით გაქაჩავს ჰგონიათ, უფრო სარწმუნო კი ისაა, რომ ამათ ჯარი არ სჭირდებათ იმ მიზნით, რაც ჯარს ევალება. ამათ ცხვრები უფრო სჭირდებათ არჩევნებზე გასარეკად, ან ძაღლები — უიარაღო დემონსტრანტებზე შესასევად...

**ჩაიწერა**
**ნატა ნიბლაძე**

პატარა ქვეყნის ხვედრი მძიმეა. ისტორიის დაუნდობელ ქარტეხილებში ის თავს ვერ გაიტანს, თუ რომელიმე ძლიერი ახლო ან შორეული მეგობარი არ ჰყავს, რომელიც გასაჭირში მხარში ამოუდგება და ვაგლახად არავის დააჩაგვრინებს.

მეგობრის პოვნა ადვილი არ არის. როგორც კერძო კაცმა, ისე ქვეყანამ ისეთი ვინმე უნდა მონახოს სამეგობროდ, რომელსაც საერთო ინტერესებითა და შეხედულებებით დაუკავშირდება. ამის გარეშე ორი კაცისა თუ ორი ქვეყნის ურთიერთობა ნაცნობობის საზღვრებს ვერ გასცდება, ხოლო თუ გასცდა, მაშინ ძლიერისა და სუსტის ბატონობა-მორჩილება იქნება მხოლოდ.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს ისტორიული ურთიერთობა ძლიერ მეზობლებთან - სპარსეთთან და თურქეთთან მეგობრობად ვერ იქცა. საერთო ინტერესები და საერთო ღირებულებები არ ჰქონდათ და იმიტომ! სწორედ, საერთო ინტერესებისა და საერთო ღირებულებების ძიებამ მიიყვანა ქართველი მეფეები ახალ პოლიტიკურ ორიენტაციამდე, რომლითაც საქართველოს ბედ-იღბალი რუსეთის ისტორიულ ბედ-იღბალს დაუკავშირდა. ამ კავშირის შედეგია ის, რომ საქართველო ჯერ კიდევ იხსენიება დიდ საკაცობრიო ოჯახში.

ამ ორი ათეული წლის წინათ ისე მოხდა, რომ ის „დიდი ოჯახი“, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, შინაური და გარეშე მტრების ერთიანი ძალისხმევით დაინგრა. ვისაც სხვაზე მეტი ჭკუა ჰქონდა, ნგრევას ასე თუ ისე თავი გაარიდა, ვისაც ჭკუა არ ეყო – ნანგრევებში მოჰყვა.

ასე მოვყევით ნანგრევებში ჩვენც!

ნანგრევებში მოყოლილებს აუცილებლად სჭირდებათ დახმარება გარედან. უამისოდ თავს ვერ დააღწევენ ხიფათს. ასეთი დახმარება გვჭირდებოდა ჩვენც, მაგრამ მაშინ მეგობრების გამონახვის არც თავი გვქონდა და არც დრო. მავანნი მეგობრისა და დახმარების ხელს თვითონ გვიწვდიდნენ. ჩვენი ასარჩევი იყო, ვის ხელს ჩავებღაუჭებოდით.

ერთ-ერთმა პირველმა იმ ქვეყანამ გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ვისაც ყველა ჩვენი უბედურება ბრალდებოდა (მკითხველმა იცის, ალბათ, რომ ჩვენი „მამაცური ბრძოლის“ შედეგად დამწვარი ისტორიული პირველი საშუალო სკოლა ფერფლიდან აღადგინა მოსკოვის მერიამძ, ამიტომ მისი მეგობრობა ცოცხალი თავით არ მივიღეთ. იყვნენ სხვებიც. ზოგი ცარიელ ხელს გვიწვდიდა, ზოგს მაჯა ჰქონდა მეტისმეტად სუსტი... სწორედ მაშინ გამოჩნდა ძლიერი ხელი – აშშ – რასაც სიხარულით მოვეჭიდეთ...

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც მთელი მსოფლიო, მარტივად, ამერიკას უწოდებს (თითქოს ამერიკის კონტინენტზე სხვა სახელმწიფოები არ არსებობდნენ!ძ, ჩვენში საოცნებო ქვეყნად მიაჩნდათ. საყოველთაო კეთილდღეობა, სრული პიროვნული თავისუფლება, ყველასათვის თანაბარი შანსები, კანონის უზენაესობა, ანუ საყოველთაო სამართლიანობა, – აი, ასე გვქონდა წარმოდგენილი ამერიკა. ერთი სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიის ბურჯად და ფორპოსტად მიგვაჩნდა. ის კი აღარ გვახსენდებოდა, რომ „დემოკრატიის ეს ბურჯი“ სულ რაღაც საუკუნენახევრის წინათ მონათმფლობელური სახელმწიფო იყო და თომას ჯეფერსონი თუ ჯორჯ ვაშინგტონი მონათმფლობელური სახელმწიფოს ლეგიტიმური ხელმძღვანელები იყვნენ. ისიც „გადაგვავიწყდა“, რომ რასისტული კანონები ჩვენს დღეებამდე არსებობდა აშშ-ში. სწორედ ამ კანონების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეეწირა 60-იან წლებში მარტინ ლუთერ კინგი?

რას იზამ, ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება. სიძლიერე და გარეგნული ბრწინვალება მარტო ველურებს კი არ ახვევს თავბრუს და მარტო მათ თვალში კი არ იქცევა კერპად...

ჩვენი ცხოვრებით უკმაყოფილოებს, თვალი სხვათა ცხოვრებისაკენ გაგვირბოდა, განსაკუთრებით იქითკენ, სადაც სრული თავისუფლება გვეგულებოდა (რა იყო ეს „სრული თავისუფლება“, ამას იშვიათად აცნობიერებდა ვინმე!ძ. ჩვენთან ხომ ყველაფერი რეგლამენტირებული იყო, მათ შორის ჩაცმა-დახურვა და თმის ვარცხნილობაც კი. და საბჭოური პროპაგანდა რაც უფრო აქებდა საბჭოური ცხოვრების წესს და რაც უფრო ლანძღავდა კაპიტალისტურს (კონკრეტულად ამერიკულს!ძ, მით უფრო მომხიბლავი ხდებოდა იგი ჩვენთვის.

> **ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი უსინდისობა, ისეთი უკანონობა, ისეთი აშკარა ძალადობა ხდება საქართველოში, ისეთ სიგიჟეებს სჩადის ხელისუფლება, რაც ჯანმრთელი გონებისათვის სრულიად წარმოუდგენელია და არც ანალოგი მოეძებნება აწმყოსა თუ წარსულში**

ამერიკაში ვისაც როგორ უნდა ისე ცხოვრობს (კი, აბა!ძ, როგორც მოეპრიანება ისე იცვამს და იხურავს, თუ უნდა სულაც ტიტლიკანა ივლისო, – ამბობდნენ და ჩვენც შევნატროდით.

აი, ამ ამერიკის გამოწვდილ ხელს ჩავებღაუჭეთ და თავი ბედნიერად ჩავთვალეთ, რადგან ღმერთმა ასეთი „მეგობარი“ მოგვივლინა.

ამერიკა აგვაღორძინებს და აგვაყვავებს, ჩვენ მისი კიდევ ერთ – ჯორჯიის შტატად გადავიქცევითო, – სიხარულით ჭყლოპინებდა დიდი თუ პატარა, განსაკუთრებით კი თინეიჯერები.

თინეიჯერები რატომ არ გაიხარებდნენ, რა! უთხრეს ამერიკული ცხოვრების წესი უნდა გადმოვიღოთ, რაც იმას ნიშანავს, რომ გოგო-ბიჭებმა ერთად (ანუ წყვილ-წყვილად!ძ „იგორაონ“ ბუჩქებშიო. ბიჭი ბიჭთან თუ „იგორავებს“, არც ეს იუხერხულოთო.

თინეიჯერს მეტი რა უნდა? ჩვენც ხომ ეს გვინდოდა მათი კბილა რომ ვიყავით!

> **ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის პრივატიზაციას (პრიხვატიზაციას!) რომ ახდენს ნაცელიტა, ეს ნორმალურად მიაჩნია ჰილარი კლინტონის მსოფლიო დიპლომატიური მონიტორინგის უწყებას?**

ახალი კეთილისმყოფელის დახმარება ისეთი იყო, ნანგრევებში ულუკმაპუროდ ჩარჩენილს პირველ რიგში რომ სჭირდება: მოდიოდა და მოდიოდა ჰუმანიტარული ტვირთები – ხმელი თუ წვნიანი კონსერვები, ნახმარი, მაგრამ ჩვენს ახლებს რომ სჯობდა ისეთი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ცოტა სული მოვითქვით. თოკსაც რომ ჩამოგვიგდებდნენ და ნანგრევებიდან ამოგვიყვანდნენ, ხომ გავკეთდებით და ეგ არისო, – ფიქრობდა



# ვიდრე...



ხალხი. თოკის ჩამოგდებას, რატომღაც, აგვიანებდნენ.

ჩემი თაობის ადამიანებმა, ერთი პირობა, კი ვიფიქრეთ, ნეტავი ასე რამ შეაყვარა ჩვენი თავი ორი ოკეანის იქით მცხოვრებ ამ დალოცვილ კეთილისმყოფელსო. საკუთარი მეზობლები ვერ აუყვავებია და ჩვენს ასაყვავებლად რატომ ირჯებაო ნეტავი? – ეს კითხვა გვიღრღნიდა გულს.

თანდათან მოეფინა ნათელი ყველაფერს: ინტერესები არ აღმოგვაჩნდა, არც საერთო შეხედულებანი და მრწამსი!

**ჩვენი ინტერესები ეროვნულ-სახელმწიფოებრიობას უკავშირდება. ჩვენ გვსურს ქართული ენის, ქართული კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება მართლმადიდებლური რწმენის (გნებავთ, იდეოლოგიის!) საფუძველზე. ყოველივე ეს არა თუ არ ეწინააღმდეგება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, არამედ მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.**

**ჩვენს ახალ მზრუნველს სხვა ინტერესები ამოძრავებს: მის მიერ შემუშავებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება, საკუთარი ცხოვრების წესის დამკვიდრება ყველგან და ყველაფერში, მსოფლიოს გადაქცევა ინგლისურენოვან სამყაროდ, ყველა ხალხის აზროვნების ერთ ჩარჩოში (ერთ თარგზე!) მოქცევა, განათლებისა და ეკონომიკის სრული მონოპოლია.**

ჩვენს ხალხს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ამერიკას თანამედროვე მსოფლიოში მესიანური ფუნქცია ეკისრებოდა: უნდა ეხსნა მსოფლიოს ხალხები ტირანიისა და ჩაგვრისაგან, ყველგან დაემყარებინა დემოკრატია და სამართლიანობა. ახლა ბავშვებსაც კი აღარ სჯერათ იმისა, რომ ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, ეგვიპტეში თუ სირიაში სამართლიანობის დასამყარებლად, დემოკრატიის შუქურების გასაბრწყინებლად იბრძვიან ამერიკელები და მისი ნატოელი ოპრიჩნიკები.

შორს რად მივდივართ! პედერასტების აღლუმი რატომ ჩაშალეთ რუსთაველის გამზირზეო, – ისე დაგვტუქსა ამერიკის ელჩმა, თითქოს მკაცრ ბიძას ხულიგნობაზე წაესწროს ძმისშვილისათვის.

**ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი უსინდისობა, ისეთი უკანონობა, ისეთი აშკარა ძალადობა ხდება საქართველოში, ისეთ სიგიჟეებს სჩადის ხელისუფლება, რაც ჯანმრთელი გონებისათვის სრულიად წარმოუდგენელია და არც ანალოგი მოეძებნება აწმყოსა თუ წარსულში. ამ დროს ჩვენი ამერიკელი დამრიგებლები თავიანთ ელჩიან-ექსპერტებიანა ენაგადაყლაპულებივით დგანან, არც არაფერი ესმით და ვერც ვერაფერს ხედავენ.**

მართლმადიდებლობაზე – ჩვენს ისტორიულ მრწამსზე იაღოველთა აგრესიულ შეტევას რომ გადაელობნენ და ის სატანის ნაშიერები ეკლესიიდან რომ დაიფრინეს, ამერიკის დეპარტამენტმა იკივლა, ე, მანდ ადამიანის უფლებებს ნუ არღვევთ, თორემო... ახლა, „დიდგორობის“ უდიდეს ეროვნულ დღესასწაულზე ხალხი რომ არ მიუშვეს, აქ ნაცმოძრაობის პარტიული კრება ტარდებაო, ხმას რატომ არ იღებს დემოკრატიის ფორპოსტი? ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის პრივატიზაციას (პრიხვატიზაციას!ძ რომ ახდენს ნაცელიტა, ეს ნორმალურად მიაჩნია ჰილარი კლინტონის მსოფლიო დიპლომატიური მონიტორინგის უწყებას?

ასე თუ არის, რა უნდა გვქონდეს საერთო მათთან!

ხედავს ამას ხალხი და თანდათან უცივდება გული ოკეანისგაღმელ „მესიაზე“, თანდათან უძლიერდება წარსულის ნოსტალგია. გაუძლიერდება, აბა, რა! ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას იმაზე ვჩიოდით, რატომ არის ორენოვანი წარწერები ორგანიზაცია-დაწესებულებებისა თუ მაღაზიების აბრებზეო (სხვათა შორის, ყველგან ჯერ ქართული წარწერა იყო, შემდეგ რუსული!ძ. ახლა მთელი რუსთაველი რომ გაიარო, ქართულ წარწერებს აქა-იქა დაინახავ. ქართულს ბევრად ჭარბობს ინგლისური. ზოგან ინგლისურთან ერთდ ქართული წარწერებიც არის, მაგრამ რად გინდა? აი, მაგალითად, სასტუმრო „რედისონის“ (ყოფილი „ივერია“!ძ, კაფე-რესტორანს ქართული ასოებითაც აწერია მისი ინგლისური სახელწოდება – „რედისონ ბლუ ივერია!“ გაიგე ახლა, რას გვეუბნება ეს წარწერა! როგორც ჩანს, მართლა ბლუები ვგონივართ. ასე ფიქრობს ათასობით რიგითი ქართველი.

იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ენა ქართულია, დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ მოზარდებს: წარმატებული ადამიანი ვერ იქნები, თუ ინგლისური ენა არ გეცოდინება სრულყოფილადო. რატომო, – ფიქრობს ქართველი კაცი, – მევენახე, მეცხვარე, მსახიობი, პოეტი, შოფერი, მემანქანე, მესიმინდე, მეჩაიე და ა. შ. რატომ ვერ იქნება წარმატებული ინგლისური ენის ცოდნის გარეშე? უცხოური ენის ცოდნა დიდი სიკეთეა, მაგრამ აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონში თუ ცხოვრობ, ინგლისური კი არა, აზერბაიჯანული ენის ცოდნაა წარმატების აუცილებელი პირობა, ხოლო სტავროპოლის მხარის სოფელ პლასტუნკელ ქართველებს ინგლისური ენის ცოდნა ბიბლიოთეკაში თუ გამოადგებათ ხანდახან, ხოლო რუსული ენის ცოდნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

იციან ეს ჭკუათმყოფელმა ქართველებმა და იმასაც ხვდებიან, ვისი კარნახით ჩაგვჩიჩინებენ ჩვენი „განმანათლებლები“ ზემოთ ნახსენებ სიბრძნეს.

და მაინც, საარჩევნო პერიოდებმა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს სრულიად აშკარა გახადა ამერიკის ინტერესები ჩვენში. ხალხისათვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოში დემოკრატიის კი არა, მისი ყურმოჭრილი და მის ხელში შემხედვარე ხელისუფლების ბედი აწუხებს. ახლა უკვე იმდენად შავია მათი პროტეჟე ხელისუფლების სახე, რომ მათი თეთრად აღიარება ველარანაირი დიპლომატიით ველარ შეიფუთება.

**მე ვინ მიმიშვებს ამერიკის ელჩთან, თორემ ვეტყოდი: თქვენ კიდევ გაქვთ შანსი შეინარჩუნოთ ამერიკისადმი ჩვენში ჯერ კიდევ არსებული სიმპათია, რათა მომავალში კეთილი ურთიერთობის შანსი არ დაკარგოთ. ქართველებს მცირეოდენი სიკეთე თუ გაუკეთე, მის თავმოყვარეობას ოდნავი ანგარიში მაინც თუ გაუწიე, გუშინდელ თავში ჩაბრახუნებასაც დაგივიწყებს და, იმასაც, ცრუ წაქეზებით მამლუქებად რომ მიგყავდა შენს ომში ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით. აი, ახლა სწორედ ის დროა, რომ დაგმოთ ჩვენი (უფრო კი, თქვენი!) ხელისუფლების ზღვარგადასული უკანონობა, ყოვლად უსინდისო საარჩევნო ძალადობა. ჯერ კიდევ გაქვთ საამისო დრო და ძალა, ვიდრე არ ავსებულა ქართველთა მართლაც უძირო მოთმინების ფიალა და მთელ ერსა და ბერს ერთად არ უხუვლია — „იანკი გოუ ჰოუმ!“ ეს ლოზუნგი-მოწოდება თქვენთვის არც ახალია და არც უცხო, მაგრამ არა მგონია, სასურველი იყოს.**

ზურაბ ცუცქირიძე

## 22000 პოლონელის ცოდვა

# აშშ-მა იცოდა, მაგრამ დუმდა კატინში დახვრეტების შესახებ

**ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული არქივის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობენ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ რუზველტის ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო 1940 წელს კატინის ტყეში შინსახკომის თანამშრომლების მიერ პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ.**

გასაიდუმლოებული დოკუმენტები ადასტურებენ ადრე არსებულ ეჭვს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურდა გაეფუჭებინა ურთიერთობა თავის მოკავშირე იოსებ სტალინთან.

მთლიანად კატინში დაიხვრიტა დაახლოებით 22 ათასი პოლონელი. საბჭოთა კავშირი ამ დანაშაულში ყოველთვის ბრალს სდებდა ნაცისტებს, მაგრამ 1990 წელს დახვრეტების ფაქტი აღიარა მოსკოვმა.

საარქივო დოკუმენტები არის ამერიკელი სამხედრო ტყვეების კოდირებული გზავნილი, რომელიც 1943 წელს აცნობეს ვაშინგტონს: მათ ტყეში სმოლენსკის მახლობლად აღმოაჩინეს უამრავი ნახევრადგახრწნილი გვამი.

ნაცისტებმა სპეციალურად მიიყვანეს ბრიტანელი და ამერიკელი ტყვეები კატინში, რათა მათ თავიანთი თვალით ეხილათ, რომ მკვლელობები არ მოუხდენიათ გერმანელებს. ამ ტერიტორიის ოკუპირება მათ ცოტა ხნით ადრე მოახდინეს.

### „სერიოზული ეჭვი“

**რუზველტი და ჩერჩილი მზად იყვნენ, მიეღოთ სტალინის ვერსია კატინში დახვრეტების შესახებ**

ვაშინგტონში ბი-ბი-სის კორესპონდენტის კიმ გატასის სიტყვებით, გასაიდუმლოებული დოკუმენტების დაახლოებით ათასი გვერდი შუქს მოჰფენს იმას, თუ კერძოდ და სად გაიგო ამერიკის ხელმძღვანელობამ კატინის შესახებ.



დიდი ხანია მიჩნეული იყო, რომ პრეზიდენტ რუზველტს არ სურდა ეჭვქვეშ დაეყენებინა მოვლენათა ვერსია, რომელიც მას წარუდგინა სტალინმა, ვინაიდან საბჭოთა კავშირი იმ მომენტში იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ომში გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ.

ამრიგად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის განკარგულებით ინფორმაციას პოლონელების მასობრივი დახვრეტების შესახებ სვლა არ მისცეს.

უფრო მეტიც, ისტორიკოსის ალენ პოლის სიტყვებით, რომელიც იკვლევდა კატინის საკითხებს, მასალები, რომელთა შესახებაც მიდის საუბარი, არ იქნა წარდგენილი მასობრივი დახვრეტების შესახებ ინფორმაციის მოსმენის დროს. ეს მასალები კონგრესში მოვიდა 1951-52 წლებში, რაც შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ ეს დოკუმენტები განგებ იყო დამალული კონგრესმენებისთვის.

გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შორის არის აგრეთვე მნიშვნელოვანი მოხსენება, რომელიც პრეზიდენტ რუზველტს გაუგზავნა ბრიტანეთის პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა. ჩერჩილსაც არ სურდა, ეჭვქვეშ დაეყენებინა კრემლის ვერსია მოვლენების შესახებ კატინში. მიუხედავად ამისა, მოხსენება, რომელიც შეადგინა დიდი ბრიტანეთის ელჩმა ლონდონში პოლონეთის დევნილ მთავრობაში ოუენ ო' მელიმ, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სსრ კავშირის ბრალეულობაზე.

„დღეს დამოწმებათა დიდი რიცხვია, რომლებიც ერთობლიობაში დიდ ეჭვქვეშ აყენებენ რუსეთის მტკიცებებს, რომ ისინი არ არიან დამნაშავეები მკვლელობაში“, — წერდა ო' მელი.

საერთო აღიარებით, პოლონელების დახვრეტა კატინის ტყეში და სხვა ადგილებში მოხდა შინსახკომის თანამშრომლების მიერ 1940 წლის აპრილში სტალინის ბრძანებით.

დაღუპულთა შორის იყვნენ არა მხოლოდ ოფიცრები, არამედ პოლიტიკოსებიც, სასულიერო პირები და არტისტებიც კი. დაღუპულთა ცხედრები დაკრძალეს ძმათა სასაფლაოებზე საცნობელი ნიშნების გარეშე.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**უბილეთო, რომელიც ცდილობდა, გაფრენილიყო თვითმფრინავის შასის ნაკვეთურში დამალვით, ჩამოვარდა გიგანტური სიმაღლიდან და შეაშინა ლონდონის წყნარი რაიონი**

**სხეული აღმოაჩინეს მორტლეიკის რაიონში, „ხიტროუს“ აეროპორტიდან დაახლოებით 10 მილში. ექსპერტების აზრით, 30 წლის ჩრდილოაფრიკელი შეიძლებოდა დაღუპულიყო ან იმის გამო, რომ მას გასრესდა შასები აკრეფის დროს აფრენისთანავე, ანდა სიცივის გამო ნაკვეთურში. უბილეთო მგზავრებისთვის გადარჩენის შანსები ძალიან ცოტაა.**

* * *

**ჩინელები გაოცებული არიან: სახელმწიფოს მეთაურის მემკვიდრე მოულოდნელად გაქრა ტელევიზორებიდან და ინტერნეტ-საძიებლებიდან**



**ჩინეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის გეგმიური შეცვლის ფარგლებში ოქტომბერში უნდა დანიშნულიყო ახალი ლიდერი — ამჟამინდელი ვიცე თავმჯდომარე სი ცზინპინი. მაგრამ პოლიტიკოსი მიზეზების გამოუცხადებლად გაქრა მხედველობის არედან და აღარ მონაწილეობს მნიშვნელოვან შეხვედრებში. ცნობისმოყვარე მოქალაქეებს კი დაუბლოკეს ინფორმაციის ძიება მიკრობლოგებში.**

* * *

**„ალ-ქაიდის“ ლიდერის ძმამ მოამზადა წინადადება მშვიდობის დამყარების შესახებ დასავლეთის ქვეყნებთან**



**მუჰამედ აზ-ზავაჰირიმ აღნიშნა, რომ აქვს საკმაო გავლენა აიმანის ძმაზე და დარწმუნებულია, რომ „ალ-ქაიდას“ ლიდერი მას მოუსმენს. ამ დროს სიენენ-თან საუბარში მან აღნიშნა, რომ უკვე ათი წელიწადია ისინი ერთმანეთთან არ საუბრობდნენ. 2004 წელს უსამა ბინ ლადენიც აყენებდა ამგვარ წინადადებას მშვიდობის დამყარების შესახებ.**

* * *

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განსაზღვრა ცნება „ადამიანის უსაფრთხოება“. რუსეთს წინააღმდეგობა არ გაუწევია**

**ამავე დროს მოსკოვი არ არის დარწმუნებული, რომ „ამ ცნებას შეუძლია მოგვიტანოს პრინციპულად რაიმე ახალი ორგანიზაციის მუშაობაში“, აღნიშნა გაეროსთან რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ დმიტრი მაქსიმიჩევმა. მან აგრეთვე გამოთქვა შიში, რომ ცნების განსაზღვრამ შეიძლება გამოიწვიოს დისკუსიის პოლიტიზაცია ორგანიზაციის ფარგლებში.**



## გადადებული აპოკალიფსი

# რას გვიქადის ბოლონ იოკტე?

**2012 წლის დამლევის მოახლოებასთან ერთად, რომლის მიწურულს, დეკემბერში, მაიას კალენდრის ბოლო აღნიშნული თარიღი დგება, რის შემდგომ ქვეყნიერების დასასრული დადგება, ვნებათაღელვა სულ უფრო მეტად მძაფრდება. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლოს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების თემაზე „რა გველის 2012 წლის დეკემბერში?“ გამოკითხულთა 45 პროცენტმა უპასუხა, რომ ქვეყნიერების დასასრულის მოლოდინშია და, ამასთან, დიდად აინტერესებს, თუ რა შეიძლება მოუვიდეს დედამიწასა და კაცობრიობას.**

### სექსზე უფრო მიმზიდველი აპოკალიფსი

მაგალითად, ინტერნეტის საძიებო სისტემა „გუგლმა“ 2009 წელს შეკითხვაზე „რა მოხდა 2012“... 170 მილიონი გვერდის მოცულობის პასუხი გასცა, რაც სამჯერ მეტია, ვიდრე პასუხი შეკითხვაზე „სექსი“, რომელიც „მხოლოდ“ 55 მილიონი გვერდისგან შედგება. მაგრამ მაინც აღნიშნულია, ბოლო სამ წელიწადში განგაშის დონემ თითქმის 150-ჯერ მოიმატა! ამჯერად საძიებო სისტემა მომავალი აპოკალიფსის თაობაზე 25 მილიარდ გვერდიან პასუხს იძლევა(!ძ. ამის თაობაზე ინფორმაციის მიღების ყოველდღიურად მსურველთა რიცხვი კი 190 მილიონს უახლოვდება!

ატეხილი აჟიოტაჟის მიზეზია თითქმის 1400 წლის წინათ სამხრეთამერიკელ ინდიელთა მაიას ტომის ქურუმთა მიერ შედგენილი კალენდარი, რის შესახებ არაერთხელ ვწერდით. ამ კალენდარს 1958 წელს მექსიკის უბის სამხრეთის ტაბასკოს შტატში ნაქალაქარ ტორტუგეროში მიაგნეს. **ესაა 190 სანტიმეტრის სიმაღლის, 55 სანტიმეტრი სიგანისა და 6 სანტიმეტრი სისქის სვეტი და ტაძრის კედელზე მისამაგრებელ ბარელიეფიან პანელს უფრო ჰგავს. მისი ასაკია ჩ. წ. ა. VII საუკუნე, სახელწოდება — „მონუმენტი 6“. სწორედ მასზეა ამოტვიფრული 2012 წლის 21 დეკემბრის თარიღი, რომელიც ყველას გულს უხეთქავს.**

„წინასწარმეტყველება“ ასე ითარგმნება: **„მეცამეტე ოთხასწლეული კანკინის თვის მე-3 რიცხვის მე-4 ახავის დღეს დასრულდება, მოხდება... და ბოლონ იოვკტე ჩამოვა...“** მე-20 საუკუნის შუა ხანებში ამ იეროგლიფთა შინაარსი დიდად არავის აინტერესებდა, ამიტომაც მონუმენტი კარგა ხანს ადგილობრივ მუზეუმში იყო მივიწყებული.

### საზარელი ღმერთი ბოლონ იოკტე

— კალენდარი ჩ. წ. ა. 3114 წლის 11 აგვისტოს იწყება, რომელიც მაიას ეპოქის დასაწყისია, მისი ნულოვანი წერტილი. როგორც ჩანს, იმ დღეს მაიას ტომის ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი რამ მოხდა, იმის მსგავსი, რაც მსოლფიო ისტორიაში კარგადაა ცნობილი — მაგალითად, ახალი წელთაღრიცხვის ათვლით ქრისტეს შობიდან დაწყება.

უნდა ითქვას, რომ „მონუმენტ 6“-ს თავიდაპირველად ორი ყური ჰქონდა, რომელთაგან მარცხენა მოტყდა და დაიკარგა, მარჯვენა კი შემორჩა. ჰოდა, ამ მარჯვენას ზედა მარჯვენა კუთხეში ამოტვიფრული აქვს თარიღი 2012 წლის 21 დეკემბერი, რომელიც ასეა ჩაწერილი: „13.0.0.0.0.“ ესაა დიდი, რიგით 13-ე ოთხასწლიანი ციკლის დასასრული და რაიმე სხვა მონაცემი ამ რიცხვთა შესახებ მონუმენტზე აღნიშნული არ არის.



კალენდარში ასევე ნახსენებია საშინელი ღვთაება ბოლონ იოკტე, რომელსაც, მაიას გადმოცემებით, დედამიწაზე წარღვნის მოწყობა შეუძლია. თუმცა მეცნიერები ამას სერიოზულად არ აღიქვამენ, რადგან გამოკვლევებით იციან, რომ **სინამდვილეში ბოლინ იოკტე — ესაა პლანეტა მარსი. კალენდარშიც აღნიშნულია, რომ სწორედ ამ ლამაზ თარიღში „13.0.0.0.0.“ მარსი დედამიწიდან მხედველობის არიდან ქრება. ამავე დროს მზე იაგუარის თანავარვარსკვლავეთიდან გადის. ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ „მონუმენტ 6“-ზე უბრალო ასტრონომიული დაკვირვებები და გათვლებია დატანილი.**

მეცნიერთა თქმით, ამის შემდგომ ახალი ათვლა დაიწყება: **მაიას არც ერთ კალენდარში, არც ერთ წერილობით წყაროში ქვეყნიერების მომავალი დასასრულის თაობაზე არანაირი მინიშნება არ არსებობს.** ჯერ ერთი იმდენად, რამდენადაც მაიას კალენდარი ციკლურია, იგი არასდროს დასრულდება. მეორეც ის, რომ მაიას რელიგია, **კოსმოლოგია დროთა პერიოდების კატასტროფულ დასასრულს საერთოდ არ ითვალისწინებს — მათში მხოლოდ კალენდარული პერიოდები და მათი მმართველი ღმერთები იცვლებიან.**

### ხუმრობათა ხუმრობა

ისმება კითხვა: მაშ, ვინ შეთხზა მითი 2012 წელს ქვეყნიერების დასასრულის შესახებ?

აღმოჩნდა, რომ ამის თაობაზე 1960-იან წლებში ერთ-ერთ კონფერენციაზე ამერიკელმა არქეოლოგმა, იელის უნივერსიტეტის ანტროპოლოგიის პროფესორმა მაიკლ კოუმ იხუმრა, რომელმაც თქვა: **„მაიას კალენდრით 2012 წელს მაიას ერთდროულად ორი დროებითი — მე-13 ოთხასწლეულისა და უზარმაზარი 5126-წლიანი ციკლის დასასრული დადგება. ფაქტობრივად, გამოდის, რომ მაიას მიხედვით ეს ქვეყნიერების დასასრული იქნება!“**

უფრო დაწვრილებით მან ეს „ხუმრობა“ 1966 წელს გამოცემული თავისი წიგნის „მაიას“ პირველ რედაქციაში ჩამოაყალიბა. **„წარმოშობისა და ნგრევის ციკლების იდეა დამახასიათებელია როგორც ამერიკული, ისე აღმოსავლური რელიგიებისთვის. მაგალითად აცტეკებს სწამდათ, რომ სამყარომ ოთხი ასეთი ციკლი გაიარა და ამჟამად ჩვენ მეხუთეში ვიმყოფებით, რომელსაც მიწისძვრა გაანადგურებს“.**

სამყაროს დასასრულის დადგომის იდეა პოპულარული 2000 წლის დასაწყისში გახდა. როგორც ჩანს სენსაციების მოყვარული ჟურნალისტები, ბლოგერები, მწერლები, სცენარისტები გულგაცრუებულნი დარჩნენ იმით, რომ ახალი ათასლწეულის დამდეგს არანაირი კატაკლიზმი არ მოყოლია. სწორედ მაშინ იყო, რომ მათ „მაიას სცენარით“ ქვეყნიერების დასასრულის შესახებ ამბავი სხვადასხვა ხერხით გაავრცელეს. ახლა კი ეს ხუმრობა საკუთარი, ყველასგან დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

...თავად მაიკლ კოუს, რომელიც ახლა 83 წლისაა, კონექტიკუტის შტატის ვიდეოჩანაწერი გამოქვეყნდა, რომლის ამონარიდს გთავაზობთ.

**„...მაიას ტომის რთული კალენდარული სისტემა, შესაძლოა, უდიდესი ინტელექტუალური მიღწევა იყო, რომელიც უდიდეს ასტრონომიულ და მათემატიკურ ცოდნას ეფუძნებოდა, და ეგვიპტელთა და ბაბილონელთა ცოდნაზე გაცილებით ღრმა იყო... მათ მრავალრიცხოვან ძეგლთაგან ზოგიერთზე მიგნებულია ინფორმაცია 400 ათასი წლის წინათ მომხდარი მოვლენების შესახებ. მეცნიერებას სრულიად საფუძვლიანად შეუძლია ჩათვალოს ამ ცივილიზაციის მატარებელი ერი დედამიწაზე ყველაზე გამორჩეულ ხალხად“.**

საგულისხმო კი ისაა, რომ მონოლოგის დასასრულს პროფესორ კოუს თავისი, ცოტა არ იყოს, უხერხული ხუმრობისთვის ქვეყნიერების დასასრულის შესახებ ბოლოში მაინც არ მოუხდია.

**თამარ გოგიაშვილი**

◎ თუშეთი

**ტელმან იჭირაული** ქვემო ალვანელი თუშია. იქაური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. შრომითი საქმიანობა მშობლებმა შეაყვარეს და მოწაფეობიდანვე ზაფხულის განმავლობაში თუშეთში



ცხვრის მოვლა-პატრონობაში ეხმარებოდა მამას. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ტელმანმა ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა.

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარი **ტელმან იჭირაული** თუშეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია. მოვუსმინოთ მას.



# ტელმან იჭირაული:
# ვცხოვრობთ მზესთან და ღმერთთან ახლოს...

— როგორც ცნობილია, 1980-იანი წლებიდან საქართველოს მთიანეთის აღდგენა-აღორძინება დაიწყო. იქმნებოდა მეურნეობები, მათ შორის თუშეთშიც. 1981 წელს დავინიშნე თუშეთის ახლადშექმნილი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. ეს პირველ რიგში თუშეთისადმი უსაზღვრო სიყვარულმა განაპირობა, საიდანაც მესმოდა ჩემი წინაპრების ძახილი: არ მიატოვოთ, არ დააცარიელოთ თუშეთი, მოდით, მოხედეთ, უპატრონეთ, აღადგინეთ და ააღორძინეთო... და მეც, რაც კი შემეძლო, ძალა და ენერგია არ დავზოგე...

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში თუშეთის თითქმის ყველა სოფელი სავსე იყო მოსახლეობით. გვქონდა სკოლა, ხოლო თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრში — სოფელ ომალოში იყო საავადმყოფო და სკოლა-ინტერნატი, რომელშიც 180-მდე მოსწავლე ირიცხებოდა. ასევე მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფი და სხვ. აქ ხეობების მიხედვით, ჩამოყალიბებული იყო და 1958-60 წლებამდე მუშაობდა რამდენიმე კოლმეურნეობაც.

1978 წლის შემოდგომაზე თუშეთში პირველად შევიდა საავტომობილო გზა, რასაც მოჰყვა ბევრი სოციალური პრობლემის გადაჭრა. გზამ მოგვიტანა, ასევე, ელექტროენერგიის სიკეთე, ტელე-ანძა, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო, ფოსტა და ა.შ.

გარკვეულ პერიოდში აღდგა ძველი ნაგებობები და აშენდა ათობით ახალი საცხოვრებელი სახლი. თუშეთის სამივე ხეობა ერთმანეთს საავტომობილო გზებით დაუკავშირდა.

ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ვერ შეელივნენ მამა-პაპათა ნაფუძარ მიწას და მთებში ცხოვრობდნენ, ავტომანქანების დანახვაზე, ნათურის აკაშკაშებაზე პირჯვარს იწერდნენ, ღმერთს და მთის სალოცავებს მადლობას სწირავდნენ და ხმამაღლა იძახდნენ: სასწაულია, სასწაული...

ოცდაათი წლის წინათ — 1981 წლის 10 ივლისს, თუშებთან ერთად მთელმა საქართველომ დიდი სახალხო ზეიმი „თუშეთობა“ — იგივე „მეცხვარის დღე“ აღნიშნა, რომელიც დაუვიწყარი დღესასწაული გამოდგა.

როცა თუშეთზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩნენ ის ადამიანები, რომლებიც, როგორც ადგილის დედის ერთგული მეციხოვნენი, ვერ შეელივნენ ნაფუძარს, არ მოუშალეს „ბუდეები“ და დღემდე იქ ცხოვრობენ.

პირველ რიგში დავასახელებ ომალოელ ვანკა (ვანოძ მელაიძეს და მის მეუღლეს — ქეთევანს. ვანკა პაპა ათი წელია, ბარში არ ჩასულა, მიუხედავად იმისა, რომ რვა ათეულ წელსაა გადაცილებული. გულმაგრად მკვიდრობს მამაპაპისეულ კერაზე. 75 წლის ტრისტან თათრულაიძეც მამა-პაპათა წესით ცხოვრობს: მწყემსავს ცხვარ-ძროხას, თუშური კარტოფილით ამარაგებს ბარელ ახლობლებს, ბალახს თიბავს და პირუტყვს საკვებს უმზადებს.

კაცებს არც ქალები ჩამორჩებიან: ქალბატონი ქეთევანი —



ვანკა პაპას მეუღლე, 65 წლის ესმა აქიმიძე — თუშეთის სული და გულია. რუსუდან ელზბარიძე, რომელიც მეუღლესთან — ელგუჯასთან ერთად ცხოვრობს ომალოში, წელიწადის ყველა დროს თუშებისთვის ექთანიც არის და ექიმიც... ხან ფეხით, ხან ცხენით სოფლიდან სოფელში გადადის ავადმყოფების დასახმარებლად.

ბუდემოუშლელად ცხოვრობენ ომალოში იასონ იჭირაული, მამა-შვილი ომარ და ზურაბ იჭირაულები. შენაქოში კაკო და ქრისტო ბუქვაიძეები, დართლოში — ახალგაზრდა კაცი ბესიკ იდოიძე, კვავლოში — კარლო ქუჯაიძე, დანოში — შენგელი თათარაიძე, ჩილოში — სოსო ბაკურაძე და სხვები.

... შემდგომი ათ-თხუთმეტწლიანი პასიური ცხოვრება თუშეთსაც შეეხო. მოსახლეობამ კვლავ იწყო კახეთისკენ ჩამოსვლა. თვალსა და ხელს შუა იცვლებოდა იქაურობა, მაგრამ წალმა დატრიალდა თუშეთის ისტორიის ბორბალი, კვლავ განახლდა და გაიწმინდა გზები, დაიწყო სოციალური პროექტების განახლება-განხორციელება. მომრავლდნენ თუშეთის დონორებიც. ეს კუთხე გამოცხადდა დაცულ ტერიტორიად, შეიქმნა ეროვნული პარკი, ლანდშაფტის ადმინისტრაცია და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის კახა მაისურაძის ბრძანებით გელა ბახუტაძე დაინიშნა არასამეწარმეო იურიდიული პირის თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორად. კვლავ წინა პლანზე წამოიწია სოციალურმა პრობლემებმა: წყალი, ელექტროენერგია, ტელევიზია, მაგთისა და ჯეოსელის ანტენები და ა.შ.

დღეისთვის, მართალია, ზამთარში თუშეთში მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი შეთხელდა, მაგრამ მთლად მაინც არ იცლება. თუშეთში ხეობების მიხედვით 25-30 კომლი რჩება. მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

ჩვენთან უკვე შეიქმნა სასაზღვრო პოლიცია, ხოლო ზაფხულის სეზონზე ექიმიც გვყავს. დასრულდა სოფელ ბოჭორნიდან ომალომდე 6-კილომეტრიანი სასმელი წყლის მაგისტრალის გაყვანა, ზემო ომალოში დაიდგა 100 ტონის ტევადობის რეზერვუარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით დაიწყო და უახლოეს მომავალში დასრულდება სოფელ შენაქოს სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ათწლეულების განმავლობაში ხახაბოელებს და ქუმელაურთელებს აწუხებდათ საავტომობილო გზის პრობლემა... ესეც მოიხსნა — ხილსოს ჭალიდან ორივე სოფლის მიმართულებით შეკეთდა გზები. გომეწრისა და პირიქითა ხეობებში დაწყებულია საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაპროექტდა ზემო და ქვემო ომალოს სასმელი წყლის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტდება საკანალიზაციო ქსელების მოწყობა.

ჩეხეთის მთავრობის დაფინანსებით გრძელდება მზის ბატარეების სამონტაჟო სამუშაოები. ეს პროგრამა 3 წელიწადზეა გათვლილი და ეს დიდ სიკეთეს შეიტანს თუშების ოჯახებში...

ბოლო ორი წლის განმავლობაში თუშეთისკენ, ზაფხულის სეზონზე ტურისტები დაიძრნენ.

**დღეისთვის აქ 30-35 საოჯახო სასტუმრო ემსახურება ტურისტებს, რამაც გარკვეულწილად დაასაქმა თუშეთიც. 2011 წელს თუშეთში შემოსულ ტურისტთა და ვიზიტორთა რიცხვი 9 ათასამდე იყო, წელს უფრო მეტია... ეს გარანტიას გვაძლევს იმისას, რომ მომავალში უფრო მეტი ტურისტი და დამსვენებელი შემოვა აქ და უფრო მეტ სამუშაო ადგილს შექმნის თუშებისთვის.**



**იზა ჯაჭვაძე,**
თუშეთი-თბილისი

◎ „ჩასაფრებულის“ ჩანაწერები

# წამ-წამ-სა და წამ-წამს შუ-ა...

„მე ვარ ნოდარ ლადარია. მე ვარ ლაშა ბულაძე“... — მე კიდევ ბერდია ვარ, ბედოიძე, რომლისთვისაც არც ხმა გაუმეტებია ბუნებას, არც მუსიკალური სმენა, მაგრამ, სამაგიეროდ, საოპერო მუსიკის დიდი სიყვარულის ნიჭი უბოძებია და ამითაც კმაყოფილია და მეტიც — ბედნიერი...

ამიტომაა, რომ კვირაობით, 13 საათზე, პირველ არხზე („ფსევდონიმი“ — საზოგადოებრივი მაუწყებელი...) გამოცხადებულ „სი ბემოლს“ პატარა ზეიმივით მოველი ხოლმე, მით უფრო, რომ ის ასე კარგი ქართულით, ასე საინტერესოდ, ცოცხლად, საგნის ღრმა ცოდნით მიჰყავს იმ ორ „მე ვარ“-ს...

ბატონი ნოდარი ცნობილი მუსიკათმცოდნე გახლავთ, ნამდვილი პროფესიონალია და ვალდებულიცაა, მაღალი დონის წამყვანი იყოს; აი, ლაშა კი მაკვირვებს: თუმცა ასევე ცნობილია, როგორც მწერალი, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდა კაცი რომ „ჯაზისტი“ კი არა, „მსუბუქი მუსიკისტი“ კი არა — მხურვალე და ერთობ ერუდირებული „ოპერისტი“, „კლასიკური მუსიკისტი“ იყოს — ეს, გამოგიტყდებით, ერთგვარი რებუსია ჩემთვის...

„სი ბემოლის“ მოლოდინში იმ კვირადღესაც (9 სექტემბერს) 13 საათზე ადრე ჩავრთე ტელევიზორი და 12.30-ზე დაწყებული „ჩვენი ფერმის“ დაბოლოებას გადავაწყდი. სწორედ ამ გადაცემამ ამაღებინა კალამი, თორემ „სი ბემოლი“ სულ სხვა და სხვისგან მიდგომასა თუ აღწერა-შეფასებას იმსახურებს; ხოლო ღირდა თუ არა „ჩვენი ფერმის“ იმ დაბოლოების გამოტანა გაზეთის ფურცლებზე, ეს დაე, მკითხველმა განსაჯოს...

კადრში აღმოჩნდნენ გადაცემის ავტორი (როგორც შემდგომმა წარწერებმა გვამცნო, სახელ-გვარად დავით ბირკაძე) და იმისი ამერიკელი სტუმარი სამხრეთ კაროლინის შტატიდან, ეტყობა, მებაღე; ჰოდა, გადაცემის დარჩენილ ნაწილში სამხრეთკაროლინელმა დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარა, თუ როგორ უნდა მოეწყოს და გაშენდეს... ბაღი: რომ იმ ადგილის ახლოს უთუოდ უნდა იყოს წყალი (მორწყვა რომ დასჭირდეს); რომ ჰაერი თავისუფლად უნდა მოძრაობდეს ბაღის თავზე და გარეშემო; რომ მისასვლელი გზა მოსახერხებელი უნდა გაკეთდეს და სხვა; იმ „სხვაში“ მერე და მერე ისიც ითქვა, რომ ხილი რომ შემოვა, მკვახე არ უნდა მოიკრიფოს, არც გადამწიფებაზე არ უნდა მივუშვათ; რომ ბაზარზე ისეთი ხილი უნდა გავიტანოთ (ძირითადად მგონი ატამზე იყო საუბარი), გემრიელი რომაა და მყიდველს რომ მოეწონება...

ღმერთო დიდებულო, სამხრეთ კაროლინიდან ეს მებაღე თუ აგრონომი იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ ამგვარი ანბანური ჭეშმარიტებანი ესწავლებინა ქართველი კაცისთვის და ტელეეკრანიდან ასე დაემოძღვრა? ამის ყოფა ვატირე, საქართველოში, როცა მებაღეობაც იყო, მებოსტნეობასაც და მევენახეობაც, ქრისტეფორეს (კოლუმბს!) და ამერიგოს (ვესპუჩის!) ამერიკა ჯერ კიდევ აღმოსაჩენი და აღსაწერი ჰქონდათ (შესაბამისად...), ბაღიც გაშენებული გვქონდა, ბოსტანიც და ვენახიც და ამ კუთხით რა გვჭირს ამერიკელის დასარიგებელი? ეგ კი არა, ეთერს, როგორც ცნობილია, ბაღი წამწამსა და წამწამს შუა გაუშენებია... ამერიკელებმა, თუ ასე მაგარი ბიჭები არიან, ის მასწავლონ, დაკარგული ტერიტორიები როგორ დავიბრუნო, თორემ მერე იქ ბაღებს უმაგენისოდაც გავაშენებ... ნეტავ, ამგვარ ძვირფასს კონსულტაციაში მაგ კაროლინელს ფასი გადაუხადეს თუ უფასოდ ალაპარაკებდნენ?.. ვაი გაამერიკებისაგან...

**ბერდია ბედოიძე**

◉ დარბაზბურთი

# უეფამ ნდობა გამოგვიცხადა



**ერთ თვეში თბილისი კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ტურნირს უმასპინძლებს: 10, 11 და 13 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქის სპორტის სასახლეში ჩემპიონთა ლიგის ელიტ-რაუნდის ერთ-ერთი ჯგუფის შეხვედრები გაიმართება.**

რაც შეეხება მონაწილეთა კვარტეტს, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კლუბის „იბერია სთარის" მეტოქეთა ვინაობას ხვალ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში დანიშნული წილისყრა გამოავლენს, თუმცა ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი სტუმარი აუცილებლად რომელიმე გრანდი იქნება: ლისაბონის „ბენფიკა", „ბარსელონა" ან ალმათის „კაირატი". სხვათა შორის, მათ გარდა მომავალი ასპარეზობის ორგანიზატორობა ესპანურ „ელ პოსოს", მოსკოვის „დინამოს", სერბულ „ეკონომაცს", იტალიურ „ლუპარენსეს", აზერბაიჯანულ „არაზსა" და ლატვიურ „ნიკარსს" სურდათ, უეფამ კი თბილისთან ერთად ნდობა მურსიას (ესპანეთი), ბელგრადსა და ლიუბლიანას გამოუცხადა, სადაც დანარჩენი ჯგუფები ითამაშებენ.

დავძენთ, რომ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ოთხთა ფინალის საგზურს ელიტ-რაუნდის გამარჯვებულები დაეუფლებიან.

**გიორგი შოთაძე**

◉ წყალბურთი

# ახალი გამოწვევა

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" ზეგ დაიწყება და სამ დღეს გასტანს წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირი. საქართველოს პირველობის სამგზის გამარჯვებული „ლიგამუსი" პოლონეთის „ალკონიას" (14. IX), ესპანეთის „საბადელსა" (15. IX) და ბელარუსის „ვიტბიშს" (16. IX) დაუპირისპირდება. მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გავა. ჯგუფის ფავორიტია „საბადელი", რომელიც შარშან ევროტურნირის ფინალისტი იყო.**



საქართველოს ჩემპიონს სახელოვანი ქართველი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე ავარჯიშებს. ჩვენებურთა გაფართოებული შემადგენლობა კი ასეთია: ზურაბ ჭუმბურიძე, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ბექა ძენძაძე, გალაქტიონ ლაითაძე, ალექსანდრე რუსიშვილი, ბექა ქავთარაძე, ლევან ჩიქვინიძე, ბექა კაპანაძე, გიორგი ქართველიშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ირაკლი ფავლენიშვილი, გივი სულაძე, ალექსანდრე ურუშაძე.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ინფორმაცია

# ხსოვნის აქცია ამერიკის საელჩოსთან



**აშშ-ს საელჩოსთან მოეწყო ხსოვნის აქცია, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ტერაქტს ეძღვნებოდა.**

ხსოვნის აქცია „ქართული ოცნების" კრწანისის რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა, რომელსაც სხვა რაიონული ორგანიზაციის ახალგაზრდებიც შეუერთდნენ. ხსოვნის აქციაზე „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა სანთლები და ყვავილები მიიტანეს, რომელსაც კრწანისის რაიონის მაჟორიტაროზის კანდიდატი შოთა ხაბარელი და ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი თეა წულუკიანიც ესწრებოდა.

აქციის მონაწილეებმა ჰაერში სიმბოლურად 11 საჰაერო ბურთი გაუშვეს.

ხსოვნის აქციაზე ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებიც მივიდნენ, რომლებმაც აქციის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს მხარდაჭერისთვის.

◉ პარალიმპიზმი

# ასეთია ბედისწერა...

**ამას წინათ გაუწყეთ, რომ ლონდონის პარალიმპურ ოლიმპიადაზე, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენები მონაწილეობდნენ, უკრაინის სახელით მოასპარეზე დავით ხორავამ ძიუდოში ოქროს მედალი მოიპოვა. ბრიტანეთის დედაქალაქში კიდევ ერთი ქართველი ავიდა კვარცხლბეკზე — 22 წლის ამერიკელმა ელიზაბეთ სთოუნმა 100 მეტრზე ბრასითა და გულაღმა ცურვაში ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა (პეკინის პარალიმპურ თამაშებზე სთოუნს გულაღმა ცურვაში ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული).**



ალბათ, იკითხავთ, სთოუნი და საქართველო რა შუაშიაო. საქმე ის არის, რომ ელიზაბეთ სთოუნის ნამდვილი სახელი და გვარია ქეთევან ხურციძე. იგი ქუთაისში დაბადებულა ინვალიდი — მარჯვენა ფეხის ქვედა ნაწილი აკლდა (თეძოს ძვლის პროქსიმალური კერის დეფიციტი). როგორც თავად განუცხადა პრესას, ეტყობა, მშობლებმა არ ისურვეს ხეიბრის გაზრდა და ქუთაისის უდედმამო და მიტოვებულ ბავშვთა თავშესაფარში მიუბარებიათ. ფიზიკური დეფიციტის მქონე ბავშვი მიჩიგანელ ფსიქოთერაპევტ ლინდა სთოუნს უშვილებია და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაუყვანია. რამდენიმე თვეში ოთხი წლის ელიზაბეთ სთოუნს ქვედა კიდურის პირველი პროთეზი გაუკეთეს. აუზში ვარჯიშისას და შეჯიბრებისას, ცხადია, პროთეზს იხსნის.

ლონდონის პარალიმპური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოდან წამოსვლის შემდეგ სამშობლოში არ ყოფილა. შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ქუთაისს ვეწვიო და ბიოლოგიური მშობლებიც ვიპოვოო...

**ლაშა დიდია**

◉ ჩოგბურთი

# მორიგი სიმაღლე



**22 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ამერიკის ღია პირველობაზე ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და 280 ქულა დაიმსახურა. ასეთმა მონაგარმა ჩვენებური WTA-ს რეიტინგში 21 საფეხურით დააწინაურა და დღეს უკვე 52-ეა. იგი ამჟამად კვებეკში იმყოფება და „ბელ ჩელენჯში" ჩაებმება. 220.000-იანი საერთაშორისო ტურნირის სტარტზე ანა ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ბულგარელ სესილ კარატანჩევას შეხვდება.**

აქვე გაუწყებთ WTA-ს რეიტინგით სხვა ქართველ ჩოგბურთელთა მონაცემებს: ბოლო ორი კვირის შედეგებით 298-ე ადგილზეა სოფიო შაფათავა, რომელმაც სეზონის დასაწყისიდან 173 ქულას მოუყარა თავი. 307 (244ძ. მაკა ჩახნაშვილი (165ძ, 388 (395ძ. სოფო ქვაცაბაია (103ძ, 471 (517ძ. ეკატერინე გორგოძე (67ძ, 611 (613ძ. ნათია გეგია (41ძ, 622 (624ძ. თათია მიქაძე (39ძ, 674 (672ძ. ოქსანა კალაშნიკოვა (32ძ, 957 (964ძ. ანა გოგვაძე (11ძ.

**გივი გაგუა**

# როგორც იქნა!

**ამ დღეს დიდი ბრიტანეთი 76 წელი ელოდა.**

**და აი, შოტლანდიელმა ენდი მარეიმ, როგორც იქნა, დიდი სლემი ნისლიან ალბიონზე დააბრუნა.**

**მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა ნიუ-იორკის „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე დასრულებული ამერიკის ღია პირველობის დრამატულ ფინალში შარშანდელი სეზონის სერბი ტრიუმფატორი ნოვაკ ჯოკოვიჩი დასცა — 7:6, 7:5, 2:6, 3:6, 6:2, რითაც უმაღლესი რანგის ტურნირი პირველად მოიგო.**



შეგახსენებთ, რომ ამავე წყვილის მეტოქეობაში გაირკვა ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებულის ვინაობა და მაშინაც წარმატება სქოთს ხვდა წილად.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ცხოველთა სამყაროში



# ბოკვრების პირველი შემოდგომა

**ტყვეობაში გარეულ ცხოველთა გაჩენა ყოველთვის დიდი მოვლენაა როგორც ზოოპარკების მესვეურთათვის, ისე მნახველებისთვისაც, რაშიც ბევრჯერ დავრწმუნდით.**

ამ ამბავს ყოველთვის ზღვა სიხარული მოყვება ხოლმე, როგორც ეს გასულ კვირას თბილისის ზოოპარკში იყო, სადაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან სამი წლის წინათ ჩამოყვანილ ლომთა წყვილს — სიმბასა და ნოლას სამი ბოკვერი შეეძინა.

პატარები, რომლებსაც ძუ ნოლა გამუდმებით ადგილს უცვლის, რაც კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელთა დამახასიათებელი თვისებაა, მართალია, ჯერ თვალებაუხელავები არიან, მაგრამ თავს კარგად გრძნობენ. ასეთი რამ თბილისის ზოოპარკის ისტორიაში ჯერ არასდროს ყოფილა, ამიტომ, ამის შემდეგ, როცა ბოკვრები, რომლებისთვის ჯერ სახელები არ დაურქმევიათ, კარანტინს მორჩებიან, მოყოჩაღდებიან, დიდებსაც და პატარებსაც ერთიანად გაახარებენ.

**თამარ გოგიაშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



დედაქალაქი

# „მზიურის“ ფილტვები ნადგურდება!

**ხშირად საფუძველს მოკლებული ბაქიბუქი რომ ვიცით ქართველებმა, რაც შემდგომ გარკვეული სტერეოტიპული შეხედულებების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ცნობილი ამბავია. ერთ დროს ჩვენში მეტად გავრცელებული იყო აზრი, თბილისისნაირი გამწვანებული ქალაქი ქვეყანაზე მაინცდამაინც ბევრი არ არისო. არადა, რეალურად თბილისი არათუ სხვებზე მეტად გამწვანებული ქალაქია, არამედ ამ მხრივ გაცილებით უფრო ჩრდილოეთით, უფრო მკაცრ კლიმატურ პირობებში გაშენებულ მრავალ ქალაქსაც საგრძნობლად ჩამორჩება.**

ვფიქრობთ, ეს საკმარისი მიზეზი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ დედაქალაქის მთავრობას თბილისის გამწვანებაზე, ბაღებისა და სკვერების მომრავლებასა და მცენარეებით გაკოხტავებაზე განსაკუთრებულად ეზრუნა, მაგრამ საქმეში ხარ? ამ მხრივ დედაქალაქის მამების უყურადღებობის თვალნათელი მაგალითი თუნდაც აღმაშენებლის პროსპექტია, რომელიც გალამაზებით კი გაკოხტავდა (მართალია იქაური შენობების ძველებური იერ-სახის არცთუ გემოვნებიანი გათანამედროვეობის ხარჯზეძ, მაგრამ, სამაგიეროდ, განახლებული ფასადების გამოჩენას მრავალწლიანი ჭადრები შეეწირა, შედეგად კი „გაქაჩლებულ“ ქუჩაში ზაფხულის პაპანაქებაში სიარული სრულიად აუტანელი გახდა.

სხვა პარკებსა და სკვერებს თავი რომ დავანებოთ, რომლებშიც ნელ-ნელა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი – ზოგან კაფე-რესტორანი, ზოგან სულაც საცხოვრებელი სახლი (გავიხსენოთ 9 აპრილის ბაღში ჩადგმული „გენერლების“ საცხოვრებელი, ვაკის პარკში აგებული მრავალსართულიანი დაქანებული შენობა და სხვ.ძ,



საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი სასიქადულო მწერლის ნოდარ დუმბაძის თაოსნობით შექმნილი ბავშვთა ქალაქი „მზიური“, რომლის ტერიტორიის მოწყობას ბოლო წლებში არა მარტო საშველი არ დაადგა, ზომებიც საკმაოდ შეეკვეცა. ჯერ იყო და, ბავშვთა ქალაქის გაშლა ზოოპარკიდან თბილისის საზღვრებამდე იყო ჩაფიქრებული, ხელოვნური ტბის გაკეთებასაც კი გეგმავდნენ, თუმცა მერე და მერე პროექტის მასშტაბურობა ურბანულ მშენებლობებს შეეწირა, ახლა კი დარჩენილსაც კეთილმოწყობა და სათანადოდ მოვლა-პატრონობა არა და არ ეღირსა. არადა, მდინარე ვერეს ხეობა დედაქალაქში ჰაერის სავენტილაციო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი „მილია“, რომელიც გამონაბოლქვი გაზებისგან მის ყველაზე მეტად დაბინძურებულ უბანს – გმირთა მოედანს ასუფთავებს. ამიტომაც მთელ სიგრძეზე მისი სათანადოდ მოვლა და გამწვანება თბილისისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, „მზიურს“, ასე ვთქვათ, სტრატეგიული პოზიცია აქვს, რადგან იგი ქალაქის ცენტრშიმდებარეობს და მისი ორი დიდი უბნის – ვაკისა და საბურთალოსთვის ჟანგბადის მიწოდების თავისებური „ბუნებრივი საწარმოა“. ამდენად, მისი შესაბამისად მოწყობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, რომლის განხორციელება სანდო მოიჯარეს უნდა ჰქონდეს მიბარებული, მაგრამ ამ მხრივ თბილისის მერიის მიერ წლეულს გაზაფხულზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულის ვინაობა გარკვეულ ეჭვს აღძრავს, რომ-



ლის საფუძვლიანობაზე თავად შეგიძლიათ გამოიტანოთ დასკვნა, პატივცემულო მკითხველო.

ლაპარაკია „მზიურის“ აღდგენა-რეაბილიტაციის მეორე ეტაპთან დაკავშირებით თბილისის მერიის მიერ აპრილში გამოცხადებულ ტენდერში „აბგ და კომპანიის“ გამარჯვების შესახებ, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტომ (ყოფილმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა – **ო.ტ.**ძ არასანდოთა „შავ სიაში“ შეიტანა. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ბულვარის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულად არ შეასრულა. ამის შედეგად კომპანიას სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მიღება ერთი წლის მანძილზე აკრძალული აქვს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მან არა თუ ტენდერში მონაწილეობა მიიღო, გაიმარჯვა კიდეც და ეს თბილისის მერიისთვის პირველი შემთხვევა არ არის. არადა ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოებზე სოლიდური თანხა, დაახლოებით 530 ათასი ლარია გამოყოფილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „მზიურის“ ტერიტორიაზე მოეწყობა ურბანული პარკის ერთი ნაწილი, რომელიც ასევე სხვადასხვა ასაკის ბავშვისთვის იქნება განკუთვნილი, სადაც ტექნოლოგიურ-შემეცნებითი ცენტრის, ამფითეატრისა და სკეიტბორდისთვის განკუთვნილი მოედნის, ღია და დახურული სავარჯიშო დარბაზების, საცურაო აუზის „მზიური აკვას“ და ა.შ. მოწყობაა გათვალისწინებული, რაც ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზატკეცილის მშენებლობის დასრულების შემდეგ განხორციელდება.

გეგმა, თავისთავად, შთამბეჭდავია, საქმე ისაა, თუ რა ხარისხით შესრულდება იგი და რამდენად შეინარჩუნებს „მზიური“ „მწვანე ფილტვების“ ფუნქციას.

**ოთარ ტურაზელიძე**

ხსოვნა

# დევი უგრეხელიძე



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დევი უგრეხელიძე**.

დევი უგრეხელიძე დაიბადა 1936 წლის 13 დეკემბერს ს. თიანეთში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის 32-ე ვაჟთა საშუალო სკოლა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1959 წძ, სწავლა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის ასპირანტურაში (1961-1964 წწძ. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1965 წლიდან ის ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ქსენობიოტიკთა ლაბორატორიას. პარალელურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრაზე. 1974 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1977 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

დევი უგრეხელიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა ბიოქიმიური მეცნიერების მნიშვნელოვან დარგს – ეგზოგენურ ნაერთთა (ქსენობიოტიკთაძ ბიოქიმიას. იგი სწავლობდა ეგზოგენურ ნაერთთა დეტოქსიკაციის გზებს უმაღლეს მცენარეებში. მან გამოიკვლია ორგანულ ქსენობიოტიკთა უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ დევი უგრეხელიძის გამოკვლევები აქტუალურია არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, როგორიცაა უმაღლეს მცენარეებზე ქსენობიოტიკთა ზემოქმედების ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები, მცენარეული უჯრედის დეტოქსიკაციის აპარატის კვლევა და ა.შ., არამედ პრაქტიკულ ასპექტშიც, რადგანაც ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული გარემოს ქიმიური დაბინძურების პრობლემასთან.

ამ დარგში დევი უგრეხელიძის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგები ასახულია 4 მონოგრაფიასა და 150-მდე სამეცნიერო სტატიაში.

დიდია ბატონი დევის დამსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეშიც. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი მეცნიერის და მგზნებარე მამულიშვილის დევი უგრეხელიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

## დაიჯესტი

### ბუდასადმი პატივისცემის ნიშნად



**ტაილანდის მოსახლეობა აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მოდას აყოლილი უცხოელი ტურისტები ბუდას გამოსახულებას ტანზე ისვირინგებენ და ამით უფალს შეურაცხყოფას აყენებენ.**

ამასთან დაკავშირებით ქვეყნის კულტურის მინისტრმა ნიფიტ ინტარასომბატმა წინადადება წამოაყენა, რომ უცხოელ ტურისტებს ბუდას ტანზე ამოსვირინგება აეკრძალოთ. მან ასევე მსოფლიოს სვირინგის ყველა ოსტატს ბუდას გამოსახულების ამოსვირინგებისგან თავის შეკავების მოწოდებით მიმართა. პირველ ნაბიჯად კი, ვიდრე აკრძალვა ტაილანდში კანონის ძალას მიიღებდეს, მინისტრმა ღმერთის გამოსახულების შეწყვეტაზე კონტროლი პროვინციის ხელისუფალთ დაავალა.

### ჩვენი „შინაგანი ნარკოტიკები“

**ვისკონსინის უნივერსიტეტის ფსიქოთერაპევტთა მოხალისეთა ჯგუფი შეკრიბეს, რომლებსაც თავის ტვინის „სიამოვნების ზონა“ მეტად პასიური ჰქონდათ. მთელი თვის განმავლობაში დღეში 20 წუთის განმავლობაში, მათ უმარტივესი ვარჯიშების გაკეთებას სთხოვდნენ, რომლებიც ეიფორიის შეგრძნების სტიმულირებას ახდენენ.**

მოხალისეები ყოველდღე ჯგუფის წევრებს რაიმე სასიამოვნო ახალ ამბავს ატყობინებდნენ, ასრულებდნენ მარტივ ფიზიკურ ვარჯიშებს, ორ-ორი წუთის განმავლობაში საკუთარ თავს სარკეში უღიმოდნენ, 10 წუთის განმავლობაში სქესობრივი რელაქსაციის აუტოტრენინგს იტარებდნენ, საღამოს კი ცეკვებზე დადიოდნენ. ერთ თვეში „თავის ტვინის“ „კმაყოფილების ზონის“ აქტივობამ მოხალისეებში მკვეთრად იმატა...

და კიდევ ერთი რამ: რეგულარული სექსი



სისხლში ენდორფინების, „კმაყოფილების ჰორმონების“ მაღალი დონის შენარჩუნებას უწყობს ხელს, რომელსაც თავის ტვინის ჰიპოფიზი გამოიმუშავებს. ეს ნივთიერებები მორფზე 30-ჯერ ძლიერია, ამიტომ მათ „შინაგან ნარკოტიკებს“ უწოდებენ.

### შინაურ ცხოველთა „აფრა“

**ძაღლებისა და კატების საპარიკმახეროები და რესტორნები, პირადი მომვლელები და მძღოლები დიდი ხანია, მსოფლიოში აღარავის უკვირს. დუბაიში უფრო შორს წავიდნენ და მსოფლიოში პირველი შინაურ ცხოველთა შვიდვარსკვლავიანი კურორტი გახსნეს!**

ძნელი, უფრო სწორად კი უბრალო მოკვდავისთვის, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, მაგრამ ესაა დუბაის ცნობილი შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო „აფრის“ („ბურჯ ალა-არაბის“-ძ ანალოგი, ოღონდ ცხოველებისთვის. აქ ენით აუწერელი ფუფუნებით ერთდროულად შეიძლება 70 ძაღლისა და 40 კატის მიღება. აქაურ მდგმურებს ტელევიზორით, კონდიციონერით, მაცივრით, აუზით, ზამთრის ბაღით, სავარჯიშო დარბაზით და სხვა „ათასი წვრილმანით“ აღჭურვილ ნომრებს თავაზობენ, თანაც პირადი მომსახურე ეყოლებათ. სასტუმროში ყველა ოთახის იატაკი ეპოქსიდის ფისის



საფუძველზე დამზადებული რეზინითაა დაფარული, რათა სტუმრებს თათები და სახსრები ზედმეტად არ დაელალოთ.

გარდა ამისა, ცხოველის პატრონს თავისი საყვარელი ფინიასთვის თუ ფისუნიასთვის საღამოს ექსკურსიის შეკვეთა შეუძლია, რომელსაც მდიდრული ლიმუზინით გაასეირნებენ. სასტუმროში ნახევრადლუქსი ნომერი დღე-ღამეში 300 დოლარი ღირს, ლუქსი – 400 დოლარი, ხოლო აპარტამენტებში ღამის გათევა 780 დოლარი ჯდება.

დამატებით ფასად ცხოველის პატრონს, ასევე, შეუძლია მომთვინიერებლისა და საგანგებო თანამშრომლის „დაქირავება“, რომლებიც დროდადრო ცხოველს მოეფერებიან, რათა მან თავი ეულად არ იგრძნოს.

### დევების დასაცავად



**ახლო მომავალში რუსეთში მოღვაწეობის დაწყებას გეგმავს ვამპირების, ალების, ელფების, გობლინების, დევებისა და სხვა არაადამიანთა დაცვის ფრონტი.** ამ ორგანიზაციის მიზანია იმქვეყნიურ ძალთა წარმომადგენლების დაცვა ადამიანებისგან, რომლებიც მათ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალებიდან გაზეთებიდან



### გორელების ცნობით, ტყეში ჯარის მობილიზება ხდება

გორში, ახალდაბის ტყეში ჯარის მობილიზება შეინიშნება. ამის შესახებ „რეზონანსს“ ცნობები ადგილობრივებმა მიაწოდეს, რომლებიც ამ ფაქტის გამო შეშფოთებულები არიან... „თუ საფრთხე გველოდება, დროულად გაგვაგებინონ, რათა ჩვენ თავს ჩვენვე მივხედოთ. ხელისუფლებისგან ვითხოვთ, რომ ისევ ისე ბედის ანაბარა არ დაგვტოვონ, როგორც ეს 2008 წელს მოხდა“, – ამბობენ ისინი.

„რეზონანსი“

### დიდუბე ანტისანიტარიას მიაქვს

„ახალი მემარჯვენეების“ დიდუბის მაჟორიტაროზის კანდიდატი გიორგი ლორთქიფანიძე რაიონში გამეფებულ ანტისანიტარიაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, ქალაქის ცენტრში შეხვდებით ადგილებს, სადაც ადამიანები დაბინძურების გამო ზაფხულში ფანჯრებს ვერ აღებენ. ქალაქის მესვეურთ ამ პრობლემების გადაჭრისთვის არ სცხელათ და ფასადების შელამაზებებით არიან დაკავებულნი.

„ახალი თაობა“

## ინფორმაცია

### ცხინვალში უპილოტო საფრენი აპარატები ვეღარ იფრენენ



სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება და ცხინვალში განლაგებული რუსეთის სამხედროები ქართული უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ კომპლექსულ გეგმას ამუშავებენ.

რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვადიმ სიუკაევმა განაცხადა.

– მუშავდება კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც უკანონო ფრენების შემთხვევაში იქნება რეალიზებული, – განაცხადა სიუკაევმა.

მას არ დაუკონკრეტებია კონკრეტულად რა ღონისძიებებს გაატარებენ ქართული უპილოტოების მიმართ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**ბარმენი** მუდმივ კლიენტს ეუბნება:

– ადრე ლამაზ ქალთან ერთად მოდიოდი ხოლმე.

– ხო, ის ქალი უკვე გათხოვილია.

– ვის გაჰყვა ცოლად?

– მე.

* * *

**მთვრალი** პატრული აჩერებს მანქანას:

– ორნი რატომ ზიხართ საჭესთან?

მძღოლი პასუხობს:

– მერე მაგის გულისთვის ალყა უნდა დაგვარტყათ?!

* * *

**შვილი** ეუბნება დედას:

– დედი, ჩვენი მეზობელი ეკა უნდა მოვიყვანო ცოლად.

– არა, შვილო, ეგ როგორ შეიძლება, ეკა ხომ შენი ძუძუმტეა. პატარები რომ იყავით ორივეს მე გაწოვებდით ძუძუს.

– მაშინ, მეორე მეზობელს ნინოს მოვიყვან.

– არა, შვილო ეგეც შენი ძუძუმტეა, მაგასაც მე ვაწოვებდი ძუძუს.



– ქალო, ვერ გავიგე ეგ ძუძუები ღობეზე გქონდა გადმოკიდული?!

**ერთი** მეზობელი ქალი ეუბნება მეორეს:

– ცომის საბრტყელებელი მათხოვე.

– ვერ გათხოვებ, მეც ქმარს ველოდები.

* * *

**მიხო** სკოლაში დაიბარეს. გეოგრაფიის მასწავლებელი ეუბნება:

– თქვენი შვილი გეოგრაფიას არ სწავლობს.

– რა ჩემ ფეხებად უნდა რო, სამოგზაუროდ მაინც ვერ გავგზავნი!

* * *

**დილით** სიდედრმა სიძეს შესჩივლა:

– წუხელ მთელი ღამე კოღო მკბენდა. დილით კი მთელი ბალიში სისხლით იყო მოსვრილი.

სიძემ ბოროტად ჩაიცინა:

– ალბათ, შენი სისხლი ვერ მოინელა და გული აერია.

* * *

**ქმარი** წავიდა მივლინებაში. ცოლი სახლში მოიყვანს საყვარელს. ათი დღის შემდეგ კარზე რეკავენ.

შეშინებული ცოლი:

– მგონი, ქმარია!

გახარებული საყვარელი:

– როგორც იქნა!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24